სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 8 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ნით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“ [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 215 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 215

რკინის გზის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 ოქტომბერს სად. მიხაილოვში უეცრივ გარდაიცვალა სახალხო გვარდიელი

**ილია სტეფანეს ძე ჭელიძე.**

გულდამწვარი მშობლები მართა თომას ასული და სიმონ ტიმოთეს ძე მანჯავიძენი შვილებით: დიმიტრი, ვლადიმერ და რძალი ანნა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

**ლიუდმილა (ლუდა) მანჯავიძის**

უდროვოთ დაკარგვას. გამოსვენება მოხდება დღეს, 8 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქალ. ხაშურში ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და დაკრძალება ხაშურის სასაფლაოზე.

გულდათუთქული დები: ვერა, ქრისტინე და ნინო სიმონის ასულნი, სიძეები: იპოლიტე სპირიდონის ძე დუგლაძე, სპირიდონ ოტიას ძე ბენდელიანი და ვასო დიმიტრის ძე გაბუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველთა უძვირფასესი და, ხოლო უკანასკნელთა ცოლის და

**ლიუდმილა (ლუდა) სიმონის ასული მანჯავიძე.**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 8 ოქტომბერს ქალ. ხაშურში.

## ახალი საფრთხე

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ახალ-ახალი მტრები უჩნდებიან. შინაური და გარეშე მოწინააღმდეგენი ძალა-ენერგიას არ ზოგავენ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობას სერიოზული ზიანი მიაყენონ.

შინაური მტრები ერთობ სუსტი გამოდგნენ და მათი ფსევდო სოციალისტური აგიტაცია უნიადაგო გამოდგა. საქართველოს შეგნებულმა დემოკრატიამ შინაური მტრების მოტ ნილი იერიშები მოიგერია, იგი არარათ აქცია და ამ მხრივ ისინი არავითარ საგრძნობელ ძალას არ წარმოადგენენ.

მაგრამ მათ ადგილს ახალი—გარეშე მტერი იჭერს და იგი გაბედულათ გვემუქრება. ასეთი მტერია გენ. ალექსეევი და მისი მოხალისეთა ლაშქარი.

გენერალ ალექსეევს საკმარისი ძალა მოუგროვებია ყუბანის ოლქში და იგი ყუბანის ოლქის მთავრობის დაუკითხავათ, მასთან შეუთანხმებლად მეტათ რეაქციონურ და დამოუკიდებელ სახელმწიფოების დაპყრობას აპირებს. ყველა ძველ შავრაზმელებს მის არმიაში მოუყრიათ თავი. ძველი რეაქციონური სულისკვეთებით აღჭურვილნი და ძველი წყობილების აღდგენას ცდილობენ

ძველი წყობილების აღდგენის მთავარი მიზანია რუსეთის ძველი ტერიტორიებით აღდგენა ძველი ტერიტორიებით აღდგენა კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებულობის უარყოფა და უკანასკნელის განადგურებაა.

რასაკვირველია გენერალ ალექსეევის ასეთი მიზანი დიდ უტოპიათ და მოუხერხებელ საქმეთ მიგვაჩნია. ძველი რუსეთის გაერთიანება, მის ტერიტორიაზე ძველი წყობილების აღდგენა ისეთივე ძნელ საქმეთ მიგვაჩნია, როგორც მკვდრის გაცოცხლება.

რუსეთში ამ ჟამად და ახლო მომავალში არ არის ისეთი ძალა, რომელმაც შესძლოს მრავალი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოების განადგურება, დემოკრატიულ რუსეთის მოსპობა და მის ნანგრევებზე მონარქიზმის აღდგენა.

გარდა ამისა ამ საკითხს საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათი აქვს და აქ გარეშე სახელმწიფოების ძლევა-მოსილების შემუსვრაა საჭირო. მაგრამ გენერალ ალექსეევის კონტრ-რევოლიუციონურ არმიას არც ერთისა და არც მეორის საწინააღმდეგო ძალა არ შესწევს და მისი მოქმედება სრულიად უნიადაგოა.

ერთი სიტყვით ალექსეევს მონარქიული მიზანი დაუსახავს და ბიუროკრატიული იმპერიალიზმის განხორციელებას ლამობს.

ჩვენ გენერალ ალექსეევის განზრახვა დიდ საფრთხეთ არ მიგვაჩნია და ის ამას ვერასოდეს სისრულეში ვერ მოიყვანს. მხოლოდ საშიშია ჩვენთვის ჩვენი დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის—საქართველოსთვის, ვინაიდან იგი ჩვენი საზღვრების მახლობლათ მოქმედებს და როგორც სანდო ცნობებიდან ირკვევა თვალიც ჩვენსკენ უჭირავს. მით უმეტეს, რომ მას ჯერჯერობით ჩრდილოეთისაკენ, ბოლშევიკების წინააღმდეგ წასვლა არ შეუძლიან. პირიქით თვით ბოლშევიკებს მიაქვს მასზე იერიშები და ალექსეევის მოხალისეთა არმიებს ემუქრებიან.

ასეთ პირობებში ალექსეევი პირს ჩვენსკენ იბრუნებს და როგორც რეაქციონერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ გამოეშურება.

თუ რუსეთის „სოციალისტები“ ვერ ურიგდებიან ჩვენ დამოუკიდებლობას, მით უმეტეს ვერ შეურიგდება არქირეაქციონერი გენერალი ალექსეევი და მისი მტარვალი არმია.

გენერალ ალექსეევის ჯარი ჩვენი რესპუბლიკის უახლოესი საფრთხეა და ჩვენ თავისუფალ ხალხს და მის დემოკრატიას მოვალეობა აწევს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ჩვენი ვალია მის ტლანქ ძალას შესაფერი რეალური ძალა დაუყენოთ და მას საშუალება არ მივსცეთ თავის ადგილიდან დაიძრას. ჩვენ არავის ომს არ ვუცხადებთ და ყველა მეზობელ ერებთან და სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება გვინდა. მაგრამ როცა გენერალი ალექსეევი ჩვენს დამოუკიდებლობას ემუქრება, მაშინ ჩვენი ხალხი როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგება და მტარვალის განზრახვას შემუსრავს.

## პრესა

ახირებული დამცველი გამოუჩნდა აქაურ რუსებს. ეს გახლავთ ლევ. ყიფიანი. ცნობილი მედამუსის არაკი, რომელიც ასეთი ხელოვნებით შეამკო სულხან-საბამ აკაკიმ, სწორეთ ამ მწერალზე ზედგამოჭრილია.

კიდევ მეტიც იგი ხორცშესხმული რენეგატობაა: რომელ გაზეთშიაც დაიბუდებს, ყველა მის მოწინააღმდეგეებს „ბედვირს“ ადენს. ხვალ უკანვე გადის კუპედება და წინანდელ „ხაზეინს“ შეამკობს.

ამ ჟამათ იგი „კავკაზსკოე სლოვოსა“ და „ედინენიაში“ გახლავთ მოკალათებული, და რადგან ეს გაზეთები საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას კარგი თვალით არ უყურებენ, ბ. ლ. ყიფიანიც ამ მთავრობას და მის მოხრე წრეებს მისდგომია „ოფითა ჯინჯილითა“...

ჩვენ ვწერდით, რომ რუსეთი ჩვენს ხალხს, მასსას წარმოუდგა ისეთ ელემენტების სახით, რომ რიგიანი შეხედულების შემუშავება რუსის ხალხზე მასსას არ შეეძლო. რასაკვირველია ჩვენ აქ ლაპარაკი გვქონდა არა ინტელიგენციაზე, რომელიც რუსეთის საუკეთესო ძალებს იცნობს, არც ლ. ყიფიანებზე, რომელნიც ვის გინდა, იმას დაუკრავენ თავს, ვინც საზრდოს მიაწოდებს, არამედ უბრალო მასსაზე, რომელიც იმის მიხედვით ადგენს შეხედულებას, თუ ვინ შეხვდება ცხოვრებაში. ასეთი იყო რუსის ჩინოვნიკი—რომელიც მექრთამეობდა და ლოთობდა. რუსეთიდან ჩამოსული სხვა ელემენტები, ქალი თუ კაცი რომელიც სიველურეს გამოხატავდა რუსეთისას და არა მის კულტურას. აქედან შემუშავდა მასსაში შეხედულება: რუსი ლოთია და სხვა ..

ბ. ლევან ყიფიანს ეს სიტყვები ამოუღია მთელი წერილიდან და გაჰკივის: კმარა ცილისწამება! რუსებს ასეთი ენით ნუ იხსენიებთო.

ბ. ლ. ყიფიანს უნდა მოვახსენოთ, რომ თუ რუსის ერზე ჩვენ ხალხში არის რაიმე სწორი შეხედულება, მიუხედავათ იმ უარყოფითი მაგალითებისა, რომელთაც ჩამოსული ელემენტების დიდი ნაწილი აძლევდა, ეს პირველ ყოვლისა ს. დემოკრ. წყალობით. ჩვენ ეს იმდენათ ცნობილ და ანბანურ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნდა, რომ ამაზე ყოველ წერილში წერას ზედმეტად ვთვლიდით, აზრი ჩვენი წერილის ყველა წამკითხველისთვის აშკაა: ზოგიერთი გერმანელები უდიერათ ეპყრობიან ქართველ ცხოვრებთ, ასე ექცეოდენ ზოგიერთი რუსებიც. ხალხმა ამათზე ამიტომ ცუდი შეხედულება შეადგინა და მთელ ერზე გადაიტანა. ასე გადაიტანს იგი გერმანელებზედაც. მგონია, მარტივი აზრია. მაგრამ რუსეთის წინაშე წამოჩოქილ ლ. ყიფიანს, არ შეუძლია არ იკირტიმალოს, არ ჩხრიკოს სიტყვა ფრაზა და ამაზე არ ააშენოს მთელი სისტემა ბრალდებისა და ცილისწამებისა. ჩვენ, აშკარათ სჩანს, ვამბობდით არა მთელ რუს ხალხზე და არა მის კულტურაზე. განა საჭირო იყო ამის განმეორება? განა გერმანელების და რუსების შედარება გვქონდა გაზეთში? არა. გვქონდა შედარება აქ ჩვენი ხალხის მმართველად ჩამოსულ რუს მოხელეების და გერმანელების. მაშასადამე დახასიათებაც ამათ ეხება.

ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს ცუდია, რადგან ხალხი ამ ელემენტების წყალობით ადგენს შეხედულებას მთელ ხალხზე.

ბ ნი ლ. ყიფიანი განგრძობს ჩვენზე მოწერილ ცილისწამების უარყოფას:

„მე ვიცი, რომ რუსის მასწავლებელი, რუსის მოწყალების და და სხვა ასი ათასი რუსის ქალი, რომელნიც უკვე შემოვიდენ ჩვენს ოჯახში, და რომელნიც პატიოსანი დედები არიან ჩვენი შვილებისა, ქართულ გაზეთის ცილისწამებაზე ხმას არ ამოიღებენ, გაჩუმდებიან“.

მან იცის აგრეთვე ბევრი მოხელეები, რომელნიც არც ქრთამს იღებენ და თავის მოვალეობასაც პირნათლად ასრულებდენ, და აი ამიტომ დაასკვნის;

„დიდათ სამწუხაროა, რომ გაზ. „ერთობის“ ხელმძღვანელთა შორის არ აღმოჩნდა გონიერი და სიმართლის მოყვარე, რომ არ გაეშვა სოც.-დემ. პარტიულ ორგანოს ფურცლებზე ასეთი შეხედულება მთელ ხალხზე (რუსობაზე) როგორსაც ადგილი შეიძლება ქონდეს მხოლოდ შავრაზმულ და კაცთ მოძულე პრესაში“.

ბ. ლევან ყიფიანს უნდა მოვახსენოთ: რუსის მასწავლებელი, მოწყალების და და სხვები ხმას არ ამოიღებენ ჩვენ წერილზე, სწორედ იმიტომ, რომ მათ გარგათ იციან, ვის გზავნიდა მათი და ჩვენი მთავრობა აქეთკენ საპასუხისმგებლო ადგილებზე და როგორც გარიყულს სტოვებდა მათგან პატიოსანს და ინტელიგენტური კეთილშობილებით აღსავსეს იციან, ვის მფარველობდა ნიკოლოზის რეჟიმი და ვის უგზავნიდა ხალხს. ამათ დახასიათებაში ჩვენ და რუსეთის საუკეთესო ელემენტები არ დავშორდებით ერთმანეთს. ამიტომ ისინი არაფერს იტყვიან. მხოლოდ ბ. ლ. ყიფიანს მიუნდა ნათელი აზრი ამოეგლიჯა წერილიდან და ნამდვილი „ცილისწამება“ მიერთმია რუსი მკითხველისათვის. ერთობაშიც ცხადია შოვინიზმსა და კაცთმოძულეობას არ ქონია ადგილი. მხოლოდ „კავკ. სლოვოსა“ და მის ფელეტონისტ ბ ნ ლ. ყიფიანში კი არის დიდი მოძულეობა და დაგუბებული ნაღველი სოციალ დემოკრატიისა და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებისადმი!

მაგრამ ვინც ლევ. ყიფიანის ლიტერატურულ ზნეს იცნობს, იგი მის ნაწარმოებსაც ისევე შეხედავს, როგორც ბოღმიანი გულის და გაბრაზებული, ბოღმიანი კალმის ნაწარმოებს. რუსის ინტელიგენცია არ საჭიროებს ბ. ლევ. ყიფიანის დაცვას, და ამით მას არაფერი შემატებია, ისე, როგორც არც საქართველოს რესპუბლიკა და ს. დ. პარტია დაკარგავს რაიმე მისი ძაგებისაგან.

კადეტებს არავინ არ აქებს. ყველა ბურჟუაზიულ, მონარქისტულ პარტიათ სთვლის. მის ხმას და ნაწერს დიდ ანგარიშს არავინ უწევს. სამაგიეროთ თვით გაზეთი აქებს თავის ინტერნაციონალურ პოზიციას, თავის სახელმწიფოებრივობას და ამავე დროს ქოქოლას აყრის სხვა პარტიებს... მკითხველი თვით მიხვდება, რომ მისი რისხვა მიპყრობილია საქართველოს სოც. დემოკრატიისაკენ:

კადეტების პარტიის.

„მოქმედებაში არასოდეს არ დამჩნევია მსჯელობა ნაციონალურ ნიშნების მიხედვით.. ინტერნაციონალიზმი სახალხო თავისუფლების პარტიის—ესაა შედეგი ღრმათ შეგნებული და ცხოველი რწმენისა, რომ საღი სახელმწიფოებრივობა უნდა ემყარებოდეს ერთა თავისუფალ შეთანხმებას და ამ შეთანხმებას საფუძვლათ უნდა ედოს ამ ერთა ეკონომიური და კულტურული ინტერესების ერთიანობა“.

ასეთია კადეტების პარტია, სამაგიეროთ სოც. დემ. და მენშევიკები დიდი შოვინისტები არიან:

„იმათ არა თუ ვერ შეძლეს დაძლევა და გაფართოვება ისტორიულ სახელმწიფოებრივობის ჩარჩოების, არამედ გაყვეს, დაანაწილეს ეს სახელმწიფოებრივობა წვრილ ერთეულებათ იმ პატარა მიკროსკოპიულ ერთეულის შიგნით კი, როგორსაც საქართველო წარმოადგენს, სადაც მასსის გრძნობას ფლობს „მენშევიზმი“, მან მაინც ვერ მოახერხა გარეგნიდან უბრალო რიგიანობისთვის მაინც შეენარჩუნებინა ინტერნაციონალური სახე“.

საბუთი ამის ის არის თურმე, რომ ამ პარტიის შიგნით ერთმანეთს აბრალებენ მებრძოლ შოვინიზმით გატაცებას.

საბრალო კადეტები!

თავის ქებაც ისე ვერ მოუხერხებიათ, რომ პატარა საქართველოს და მის ხელმძღვანელ წრეებს არ სწვდენ. მაგრამ ვინ იქნება ისეთი, რომ ამ უზომო ტრაბახს და სხვის უზომო დამცირებას დაუჯეროს? განა კადეტები არ სწერდენ ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ჩვენ ისევ მოვალთ ჯარით და გაჩვენებთ სეირსო, ეს იყო ინტერესთა სოლიდარობისა და შეთანხმების ქადაგება? თუ იმპერიალისტური ძალმომრეობაც ინტერნაციონალური აქვთ ბ. კადეტებს?

ჩვენთვის კი კადეტების მიერ ასე მოხსენება საუკეთესო თავდებია იმის, რომ სწორ გზაზე ვყოფილვართ. რაც იმპერიალისტებს სწყენს, ის დემოკრატიას ასიამოვნებს.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

6 ოქტომბერი.

**ბერლინი.** შამპანში კონტრ-იერიშის დროს ჩვენ დავიკავეთ პატარა მთიანი ალაგი სომმ პის ჩრდილო-დასავლეთით. ამ ხაზზევე დიდი მზადების შემდეგ მოწინააღმდეგემ შემოუტია. აქ სახელი გაითქვეს ჩვენმა ბრანდენბურგის და შლეზვიგ-გოლშტაინის ჯარებმა. მდ. ენის ორივე მხარეს საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ძლიერი იერიშები ამერიკელ ჯარებმა მოიტანეს მონტფოკო ბანტევილლეს შუა გზაზე, რაც ჩვენი სასტიკი კონტრ იერიშით მოგერიებულ იქნა. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის 65 ჰაეროპლანი, ლეიტენანტმა ბაუმერმა ჰპოვა 40 - 41 მდე საჰაერო გამარჯვება.

**ვენა** სამხედრო მოხსენება. იტალიის ფრონტი. ვენეციის გორაკებზე ბრძოლები გაცხოველდა. აზიაგოსა და მონტე პერტიკო- სამხრეთით იტალიელები იერიშზე წამოდგნენ, მაგრამ ისევ უკუქცეულ იქნენ. აქ მოწინააღმდეგეს ბევრი დაეხოცა და ტყვედ ც ჩავიგდეთ 6 აფიცერი და 170 სალდათი, აგრეთვე წამოვიღეთ 18 ტყვიისმფრქვეველი.

ბალკანეთის ფრონტი. ალბანეთში არავითარი საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა. ვრანე'თან სერბის რაზმები ჩვენ მოწინავე რაზმებს დაეჯახნენ.

**ბერლინი.** საღამოს სამხედრო მოხსენება. სენ-კანტენის ჩრდილოეთით და შამპანში მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. აგრეთვე მტრის შეტევა არგონნსა და მაას შუა უშედეგოთ დამთავრდა.

**მოსკოვი.** ც. აღმ. კომიტეტის ბიულეტენი: კიევი. გეტმან სკოროპადსკის ცდა, რომ შეექმნა ჯარები, უნაყოფოდ ჩატარდა: ჯარისკაცები გარბიან. შესდგა ამურის მთავრობა. საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მომქმედ ლაშქრის მთავარ სარდლად დანიშნულია სიროვი. ჩეხოსლოვაკებში დემორალიზაცია გრძელდება.

**ბერლინი.** სამინისტრო სდგება მეუმრავლესობის პარტიიდან. პრინც მაქსმა წარუდგინა პარტიის წარმომადგენლებს პროგრამა, რომელიც გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგის“ გადმოცემით რამოდენიმე პუნქტით განსხვავდება მეუმრავლესეთა პარტიის მინიმუმიდან მოლაპარაკება სრული შეთანხმებით გათავდა. მემარცხენე პარტიის აზრით პროგრამა ახალ მთავრობისა გამოიწვევს ახალ წესებს ევროპაში და შეათანხმებს ხალხს: სოციალდემოკრატების ორგანო „ფორვერტსი“ აღნიშნავს მთავრობის პროგრამას და ასე განმარტავს მის მნიშვნელობას. ახალი მთავრობა მიზნათ დაისახავს დაუბრუნოს მთელ ქვეყანას და აგრეთვე გერმანიის ხალხს სამშვიდობო მდგომარეობა. ეს მშვიდობიანობა უნდა იყოს ხანგრძლივი, უნდა ემყარებოდეს ხალხთა შეთანხმებაზე, ზავმა უნდა ხელი შეუწყოს საერთაშორისო იარაღის აყრას. ამ ზავმა უნდა უზრუნველჰყოს პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება და უნდა მოსპოს ყოველივე მიზეზები, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ ეკონომიურ ნიადაგზე ომები არ გაჩაღდეს. ეს არის უმთავრესი დებულებანი ახალი მთავრობის პროგრამისა.

ამავე ორგანოს მეთაურში ნათქვამია, რომ სოციალ დემოკრატია მოახდენს გავლენას, რომ გერმანიამ მიიღოს ყოველივე ზომები მტკიცე ზავის ჩამოსაგდებათ. მეორე მხრით გერმანიის სოციალდემოკრატია დაუმტკიცებს მოწინააღმდეგე კოალიციას, რომ ზავი დამყარებული შეიარაღებულ ხალხზე არ არის მტკიცე და მუდმივი. საკაცობრიო ინტერესები მოითხოვს, რომ მოისპოს ომი სამუდამოთ. მაგრამ სანამ საზავო მოლაპარაკება არ დაწყებულა და ომი სწარმოებს, გერმანიის ხალხმა უნდა გააძლიეროს თავის მოქმედება მტრის მოსაგერიებლათ. სამხედრო მდგომარეობიდან გადასვლა საზავოზე, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე პსიხოლოგიურათ უცბათ ძლიერ ძნელია. ვაი იმ ხალხს, ვინც დაყრის იარაღს ხუთი წუთით ადრე, ვიდრე ეს საჭიროება იქნებაო.

**ნიკოლაევი.** გაზეთ „კიევსკაია მისლის“ გადმოცემით საზღვაო მინისტრად ინიშნება ადმირალი რამნიცი.

**ნიკოლაევი.** გენერალი ბრუსილოვი გაანთავისუფლეს ციხიდან. ტროცკის წინადადებაზე—მიიღოს მან მთავარსარდლობა ჩეხო სლოვაკების წინააღმდეგ ბრუსილოვმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლია სლავიანების წინააღმდეგ გაილაშქროს, მაგრამ თუ ჩვენ ქვეყანას სხვა ერის ხალხი წაეპოტინება, მაშინ დავთანხმდები მივიღო მთავარსარდლობაო.

**მოსკოვი.** ჩვენ დავიპყარით სოფ ლიპოვკა, ლებიაჟი და ბალკა. სამხრეთით ნოვო ხოპრესკთან დავიპყარით ხაპერსკი და ბერზ პალოკო. ცარიცინთან მოწინააღმდეგეს სასტიკი იერიშები მოაქვს, განზრახვა აქვს დაიპყროს ცარიცინი.

**ბერლინი.** გერმანიის მთავრობა თანახმა არის ზავი ჩამოაგდოს თანახმათ ვილსონის მიერ შემუშავებულ პუნქტებისა. ზავის ნოტა გაგზავნეს ბერნში. ს.-დ. ფრაქცია რეიხსტაგისა მოითხოვს, რომ დაუყონებლივ დაიწყონ საზავო მოლაპარაკება.

**ბერლინი** სამოქალაქო ომი ბულგარეთში მკაცრ ხასიათს იღებს. რევოლიუციონური ჯარი უახლოვდება ქ სოფიას. ამათ და მეფე ფერდინანდის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს ქალ. სოფიასთან.

**ბერლინი.** ფლანდრიაში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კამბრესთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. სოც. დემ. გაზ. „ფორვერტსი“ სწერს, რომ გერმანიას დაუდგა ფრიად მნიშვნელოვანი ხანა, როდესაც დემოკრატიული პარტიები მიიღებენ მონაწილეობას მართვა-გამგეობაში. იმ საყვედურებზე, რომელიც გაისმის პარტიის შესახებ, „ფორვერტსი“ ამბობს, რომ ანტაგონიზმი სოციალ დემოკრატებსა და ახლანდელ წეს წყობილების შორის იქნება. მაგრამ ეხლა საქმე ამ ანტაგონიზმში არ არის, არამედ საქმე ზავის ჩამოგდებაშია.

**მოსკოვი.** გეტმან სკოროპადსკის განზრახვა—შეექმნა ჯარი—განზრახვათვე დარჩა. სამხედრო ბეგრის მოსახდელათ არავინ ცხადდება. შესდგა ამურის მთავრობა.

**ნოვოროსიისკი.** ადგილობრივ სატუსაღოში დახვრიტეს 39 კომუნისტი.

**ტომსკი.** 33 სოფლის გლეხობამ უარი განაცხადა მისცენ ჯარისკაცები ციმბირის მთავრობას.

7 ოქტომბერი.

**პარიზი.** სამხედრო მოხსენება. გაცხარებულმა იერიშებმა ფრანგების და ამერიკელთა შეერთებული ჯარებისა ვესლასა და შამპანში აიძულეს მტერი დაეხიათ... (გამოტოვებულია) სუიპას და არნისაკენ. გავათავისუფლეთ ქ. რეიმსი და ფორტი ბრიმონტი, ფრანგებმა გადალახეს სუიპპი ორანვილთან და არნი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი. კრონ პრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიასა და კამბრესთან მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ფრონტებზე მზვერავთა მოქმედებაა.

გენ. ბოინის ლაშქარი. ჩვენ დავტოვეთ პოზიციები გრევენკურტსა და ბორებურთან. ინგლისელებსა და ფრანგებს იერიშები მოჰქონდათ სენ-კანტენთან. ბორებუარი-მონტ-ბრენოქი მტრის ხელშია.

ლაშქარი გერმანელ კრონ პრინცისა. ფრანგების და იტალიელების იერიშები შემენ დე დამთან მოვიგერიეთ. ჩვენ დავტოვეთ პოზიციები ბრემონტთან. მტერი უკან დაგვედევნა. საღამოთი ჩვენ ვიმყოფებოდით სიუპთან. ფრანგებმა და ამერიკელებმა იერიში მოიტანეს დიდი ძალებით. დიდი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ყველა დაკავებული პოზიციები შევინარჩუნეთ. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ვესტფალიის № 55 პოლკმა და აღმოსავლეთ პრუსიის მე 49 პოლკმა.

გალვიცის ლაშქარი. არგონთან და მაასთან მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა. აღმოსავლეთით პერმონტთან მან შესძლო წინ წამოწევა. აქ წინსვლა მტრის შეჩერებულ იქნა ჩვენ მიერ. რემანთან მტრის იერიშები მოგერიებულ იქნა. ელზას ლოტარინგიის და ვესტფალკის ჯარების მიერ. გერმანიის ბატალიონები, რომლებიც იბრძოდნენ პალესტინის ფრონტზე, ჩვენ მამაც მოკავშირე ოსმალებთან ერთად, იძულებული იყვნენ დაეხიათ ჩრდილოეთით და მასკისკენ.

**ბერლინი.** შამპანში და სენ-კანტენის ჩრდილოეთით ნაწილობრივი ბრძოლაა. არგონნსა და მაასის შუა ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელების ძლიერი იერიშები.

**სტამბოლი.** მდგომარეობა არც ერთ ფრონტზე არ შეცვლილა.

**ბერლინი.** პრინცი მაქს ბადენსკი დანიშნეს რეიხს-კანცლერათ და საგარეო საქმეთა მინისტრათ. ის გამოაქვეყნებს მთავრობის პროგრამას 5 ოქტომბრის სხდომაზე. სტატს-სეკრეტარებათ უპორტფელოდ დანიშნეს გრონერი და შეიდემანი. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი ვოლრაფი სამსახურს თავს ანებებს. სახელმწიფოს სამეურნეო უწყებისაგან გამოყოფილ მუშათა სახელმწიფო უწყებაში უნდა იყოს ორი წარმომადგენელი მუშათა ცეხების გენერალური კომისიიდან. ხალხის წარმომადგენლებისაგან სტატს-სეკრეტრების ამხანაგების დანიშვნა რიგში სდგას. პიროვნებათა არჩევის შესახებ ჯერ მოლაპარაკება არ დამთავრებულა. პრუსიის ვაჭრობის მინისტრის პოსტს მიიღებს რეიხსტაგის დეპუტატი ფიშბეკი.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ გახსნა სხდომა. დავმჯდომარე გოლსმა გახსნა სხდომა განცხადებით, რომელშიაც მიუთითა, რომ ცენტრალური სახელმწიფოები მზათ არიან ზავის ჩამოსაგდებათ.

ეს არა ერთხელ დაუმტკიცებია ცენტრალურ სახელმწიფოებს. თუ ჩვენ ვილსონის უკანასკნელ სიტყვაში ვერ ვნახულობთ, და არც შეგვიძლია ვნახოთ, რაიმე საკეთილდღეო; ჩვენ უნდა თავი მოვუყაროთ უკანასკნელ ძალას, რომ კეთილ ბოლოს მივაღწიოთ. ეს შეძლება მხოლოდ მაშინ მოყვანილ იქნას სისრულეში, როდესაც ჩვენ შეურყეველი კავშირი გვექნება გერმანიასთან და დავეყრდნობით ჯარს და საყვარელ იმპერატორს. თავმჯდომარემ თავისი სიტყვა დათავა „ჰოხ"-ით იმპერატორის მიმართ. მინისტრ პრეზიდენტმა გუსსარეკმა დეტალურათ დაახასიათა სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. ბულგარეთიდან ჩამოგდებულმა ზავმა მონარქიისათვის შექმნა ტერიოზული და ახალი მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთზე. საჭირო ზომები ავსტრო-უნგრეთიდან გერმანიასთან ერთათ მიღებულია. და საკმაოთ ავტორიტარული ცნობების თანახმათ მე შემიძლია გითხრათ თქვენ, შეგიძლიათ თავისუფლათ უყუროთ ბალკანეთის ამბებს (მოწონება მარცხნით) ამ ფრონტზეც ჩვენი ჯარები გერმანიასთან ერთად მედგრათ სდგანან, რომელსაც მომავალშიაც ვერავინ დაარღვევს (ჩეხები ყვირიან: „გავთავისუფლდეთ გერმანელებისაგან)".

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია თფილისის სოციალ-დემ. კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** ცირკულიარული განკარგულება დაუგზავნა ყველა მინისტრებს შეატყობინონ 1) რა კითხვები შემოვიდა სამინისტროებში უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში და როგორი გადაწყვეტილებები იქნა ამ კითხვებზე მიღებული, 2) როგორი ბრძანებები იქნა გამოცემული და 3) რა შეკითხვები შემოვიდა სამინისტროებში მოხელეებისაგან.

◆ **ნავთი და მაზუთი** გზათა მიმოსვლის სამინისტრომ აღერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მიმოსვლის მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს, 5 ოქტომბერს გაიგზავნა ბაქოდან მატარებელი შემდეგი შემადგენლობით 30 ცისტერნი მაზუთი, 2 ცისტერნი ნავთი, 2 მგზავრებისა და ერთი მოსამსახურეების ვაგონები. მატარებლის დანიშნულება—ალექსანდროპოლი. მასვე გაყვება 30 ცისტერნი მაზუთი საქართველოს რკინის გზის საჭიროებისათვის. გთხოვთ პირველი მატარებელი დაუბრკოლებლივ გაშვებულ იქნას თავის დანიშნულ ადგილას".

◆ **ნავთი** გარეშე საქმეთა მინისტრმა სთხოვა აღერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში აღერბეიჯანის რესპუბლიკიდან ნავთის შემოტანას.

◆ **ტრამვაის მუშათა შორის.** 7 ოქტომბერს დილის 6 საათზე შესდგა საზოგადო კრება ყველა ტრამვაის მუშამოსამსახურეებისა, დაესწრო დაახლოვებით რვაასი კაცი. (800 კაცი) მოხსენება გააკეთა ფ. ლორიამ: უკანასკნელათ ქალაქის საბჭოს მიერ რეზოლიუციის მიღების შესახებ, რომელიც უარყოფს დახმარებას მილიციისა განსაკუთრებულ რაზმისადმი, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ქალაქის საბჭოს მიერ რეზოლიუციის მიღების შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებას, ჩვენ სრულ ნდობას უცხადებთ მთავრობას, და ქალაქის გამგეობას, მასთანვე პროტესტს უცხადებთ საბჭოს იმ ნაწილს, რომლებმაც რეზოლიუციას ხმა მისცა, აგრეთვე აუცილებელ საჭიროებით ვცნობთ განსაკუთრებული რაზმის არსებობას დღევანდელ მომენტში და გამოვთქვამთ სურვილს მიექცეს ყურადღება რაზმის შემადგენლობას ვისგანაც ჯერ არს.

◆ **ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი.** ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორათ არჩეულ იქნა რაზუმოვსკი.

◆ **მეორე რაიონის კოლექტივი** ს.-დ მ. პ. აცხადებს იმ წევრთა საყურადღებოთ, რომელთაც საწევრო გადასახადი არ შემოუტანიათ, თუ რომ ორი კვირის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შემოიტანენ, მათი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იქნება საზოგადო კრებაზე, რომელსაც ამ ორ კვირაში მოიწვევენ და პარტიიდანაც გააძევებენ.

◆ **რკინის გზის მოსამსახურეთა** უკანასკნელ ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ყველა წევრებს რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირისა, რაიონულ გამგეობის თავმჯდომარეებსა და მდივნებს უფლება ეძლევათ უფასოთ გზავნონ დეპეშები.

◆ **ლექცია.** სამშაბათს, საღამოს 7 საათზე ნაძალადევის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში დანიშნულია მორიგი ლექცია: ჰიგიენა; წაიკითხავს ლექტორი ტარუაშვილი და „ევროპიელთა ცხოვრება და მწერლობა" ილია ნაკაშიძე.

◆ **თფილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის** პირველ გაეროვნებულ კლასში თხოვნების მიღება გაგრძელებულია. სასწავლებელი მოთავსებულია დიდი მთავრის ქუჩაზე № 70.

◆ **ლექცია.** შაბათს, 12 ოქტომბერს კონსერვატორიის დარბაზში გიორგი მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ქართლის ბედის უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი". მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ფრაქციების ოფიციალური ოპონენტები. მოხსენების უმთავრესი დებულებანი (თეზისები) გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

◆ **ავადმყოფების საყურადღებოთ.** დღეიდან პირველი ქ. თფილისში ექიმთა დღის და ღამის მორიგეობა, მოწყობილი ექ. ნ. ს. სოხორის მიერ, გადადის ახალ ბინაზე: ერევნის მოედანი, სოლოლაკის ქ. კუთხე სასტუმრო „ინტერნაციონალთან". ტელ. 1—76 ექიმების გამოძახება ავადმყოფთათვის ყოველ წამს შეიძლება, აქვეა გამოცდილი ბებია ქალი.

◆ **ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა საზოგადოება.** ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქ. № 6) დანიშნულია საერთო კრება წევრებისა ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობისა. მოხდება არჩევნები მუდმივი გამგეობისა და აგრეთვე გადაწყდება მიმდინარე საკითხები. დასწრება წევრების კრებაზე სავალდებულოა. არჩევნების ხმა მიეცემათ იმ პირთ, რომელთაც შეტანილი ექნებათ საწევრო და საპაიო გადასახადი ამიერ კავკასიის ბანკში მიმდინარე ანგარიშში ამხანაგობისა № 842.

◆ **თფილისის ღვინის სარდაფებში** მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ კავშირმა დაიქირავა გამოცდილი მდივანი და ცნობების მიღება შეიძლება მასთან. კანტორა ღიაა დილის 10—2 საათ. და საღამოს 7—9 საათამდე.

◆ **ჩხრეკა.** საგანგებო რაზმმა გაჩხრიკა ცნობილ თფილისელ ვაჭრის ა. ნ. მილოვის ბინა. აღმოაჩინა 4 თოფი.

◆ **ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბი იტყობინება:** „გორის მაზრის მემამულეთა სურვილებმა—გიორგი ბაგრატიონის მეთაურობით, რომ აღედგინათ ის, რაც რევოლიუციამ უკვე მოსპო და რის დასანგრევათაც მუშა ხალხმა თავისი უმანკო სისხლი მრავლათ დაჰღვარა, ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ვუცხადებთ რა ზიზღს ძველი რეჟიმის მომხრეებს, ვსდებთ ფიცს ჩვენი თავისუფალი სამშობლოს წინაშე, რომ ხაშურის გვარდია ყოველთვის ერთგულათ დაიცავს დემოკრატიის მიერ მონაპოვარს და უკანასკნელ ენერგიას შესწირავს თავისუფლების დაცვას".

◆ **ქურდობა.** 4 ოქტომბერს ვ. ბერიძის ბინიდან, საპიორნის ქუჩის მოსახვევში, ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს 13 ათასი მანეთის ფული და ნივთები.

◆ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** დაეკარგა „ბერძნის წყაროსთან" (საჯდვახო ჩოხატაურშვა) სკივრი, რომელშიც სხვა ნივთებს გარდა მქონდა: ატტესტატები: ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის გათავების და სამი ნამსახურობის მოწმობები: წითელ გვარდიელის და ს. დ. მ. პარტიის წევრობის, მიწის „კუპჩა", ორი პირობები მომგებიანი ბილეთი. შეძენის საამხანაგოთ და სხვა მრავილი ძლიერ საჭირო საბუთები. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ჩოხატაური ჯვარცხმა, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. **ლუკა გიორგის ძე ლორია.**

**ქრონიკა.**

დღეს სახალხო უნივერსიტეტში სხვადასხვა ლექციებია 6 საათიდან, ვიდრე 10 მდე. აგრეთვე მეცადინეობა სახალხო კონსერვატორიაში.

— 9 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია პირველ რაიონის ს. დ. მ. პ. ბიუროს ბინაზე ამავე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება ყველა წევრების კრებაზე დასწრება აუცილებელია.

— სამშაბათს, 8 ოქტომბერს საღამოს 5 ს. დანიშნულია საზოგადო კრება მე-6 რაიონულ კოლექტივის ბინაზე თათრის მოედანზე ქალთა ორგანიზაციისა მე 6 რაიონის. ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

# სტუდენტთა მდგომარეობა

უდავოა ის გარემოება, რომ დღეს სტუდენტობას ცუდ პირობებში უხდება მეცადინეობა. ომის მიერ შექმნილი არანორმალური პირობები ახალგაზრდობას მეტის მეტად ხელს უშლის და ხშირად გარდაუვალ დაბრკოლებად ევლინება მეცნიერების შესწავლაში. ზღაპრული სიძვირე ბევრს უსპობს საშუალებას ჩამოვიდეს თფილისში და სწავლა განაგრძოს. საზოგადოთ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის პირველი საზრუნავი საგანი უნდა იყოს, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძინოს სათანადო მეცნიერული ცოდნა. დღეს კი პირველ საკითხათ გამოკვების საკითხი გადაქცეულა. ცხადია ამ პირობებში ძნელია სწავლა-განათლების მიღება. თვითეული სტუდენტი იძულებულია სამსახური ეძიოს და მოქანცული, მოღლილი წავიდეს ლექციაზე. აშკარაა, რომ დღიურ შთაბეჭდილებებით, შრომით მოქანცული ადამიანი სათანადოთ ვერ შესძლებს მეცნიერების შეთვისებას.

თვით ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მეტი მომზადებული, უმაღლესი სწავლით და მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი ხალხი გვყავდეს სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ, მთავრობამ უნდა იზრუნოს სტუდენტთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. შესაძლებლობის ფარგლებში. ჩვენ ვიცით ჩვენი რესპუბლიკის ხაზინის მდგომარეობა და ამიტომ ისეთს რამეს ვერ მოვთხოვთ, რის განხორციელება შეუძლებელი იყოს და შეარყევდეს სახელმწიფოს ხაზინის მდგომარეობას. ჩვენ ვთხოვთ მთავრობას უზრუნველყოს ღარიბი სტუდენტობა ბინით. დაეხმაროს სტუდენტთა ორგანიზაციას იაფ-ფასიანი კოოპერატიული სასადილოების მოწყობაში და მიაწოდოს იაფ ფასებში პური.

თფილისში მყოფი სტუდენტობა კი მოვალეა შექმნას ერთი მტკიცე და მჭიდრო ეკონომიური ორგანიზაცია, კავშირი, რომელიც მოაწყობს კოოპერატიულ სასადილოს მთავრობის დახმარებით და სტუდენტობას ამ მხრივ უზრუნველყოფს, დაყოვნება შეუძლებელია. სტუდენტების კრება უნდა იქნას დანიშნული ამ ახლო მომავალში და ამ აზრს რეალიზაცია ექნას.

**აკ. სიგუა.**

# სენაკის სამაზრო საეროზო ყრილობა

16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, იხსნება გ. მაღნარაძის თავმჯდომარეობით საერობო ხმოსანთა კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ მაღნარაძე. კრების თავმჯდომარის ამხანაგათ კრებამ აირჩია ლ. დავითაია.

თავმჯდომ. კრებას მადლობას სწირავს ნდობისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ ის შესძლებს შესრულებას ამ მძიმე მოვალეობისა თვით ხმოსანთა დახმარებით. შემდეგ ამისა კრება ისმენს თავმჯდომარის მიერ შედგენილ დეპეშების შინაარსს ეროვნულ საბჭოს და მთავრობისათვის გასაგზავნათ, რომელსაც კრება იწონებს და ავალებს თავმჯდომარეს დაჩქარებით გაიგზავნოს.

ს. დ. ფრაქციის სახელით ხმ. ი. სალაყაია კითხულობს დეკლარაციას: „უსაშინელესმა ომმა დაანგრია მრავალი პატარა ერები და არამც თუ პატარა ერები, თვით უზარ-მაზარი რუსეთიც ამ ქარ-ცეცხლში გამოიჩეკა ბედი ერთი პატარა ერისა, მობინადრე აზიისა და ევროპის შუა. ეს ქვეყანა არის საქართველო, რომელიც ჯერ-ჯერობით გადაურჩა ზემოდ დასახელებულ ერების ბედს. პატარა ერის მდგომარეობა დიდათ სასოწარკვეთილია დღევანდელ დღეს. ჩვენი დემოკრატიის წინაშე სამი გზა იყო: მას უნდა ევლო ან დანგრეულ რუსეთთან, ან გამხდარიყო ოსმალეთის მონად, ანდა მიემართა გერმანიისთვის საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ჩვენმა დემოკრატიამ აირჩია მესამე გზა, არა იმიტომ, რომ იქ ძლიერია იმპერიალისტები, არამედ ამასთან იქ ძლიერია თვით დემოკრატიაც, რომელიც, მართალია დღეს ჩათრეულია უმაგალითო სისხლის ღვარში, მაგრამ მოვა დრო და ის დადგება საკუთარ ფეხზე. ჩვენც სწორედ გერმანიის დემოკრატ ის იმედი გვაქვს და გვწამს ის დაგვეხმარება. ძნელია სახელმწიფოს შექმნა საერთო ნგრევის და რღვევის პროცესში. ის იქმნება ასი წლობით და არა ერთბაშათ. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ცენტრი, ამისთვის საჭიროა გავაძლიერდეთ ადგილობრივ.

ამისათვის ჩვენი პარტია საზოგადოების ყველა ცოცხალ ძალების შეთანხმებით მოქმედებს პროგრამა მინიმუმის ფარგალში. დასახულ მიზნის განსახორციელებლათ ჩვენი პარტია მოითხოვს: 1) სწავლა განათლების გავრცელება რაც შეიძლება ახლო ხანში უფასო და საყოველთაო, სავალდებულო. 2) ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობაზე. 3) სახალხო მეურნეობის აყვავება-განაყოფიერება. 4) გაუმჯობესება გზების. 5) ადმინისტრაციის მოწყობა და თვალყურის დევნა. 6) სასამართლოს მოწყობა უფასო სავექილო დახმარებით. 7) წვრილი საერობო ერთეულების მოწყობა და შეკავშირება რესპუბლიკის დანარჩენ ერთეულებთან. 8) ზრუნვა სასურსათო საქმეზე და სიძვირესთან ბრძოლა. 9) დემოკრატიული მთავრობის ხელის შეწყობა, მიწის რეფორმის გატარება. 10) მოწყობა საკრედიტო, სამეურნეო და მომხმარებელი ამხანაგობათა, კოოპერატიული მოძრაობის ... 11) მუნიციპალურ მეურნეობის, მაგალითად, ტყის ... ბის და კონკის მიმოსვლის, ელექტრონის სადგურების და სხვათა მოწყობა. 12) ხალხში შემოსავლის და შეძლების კვალობაზე გადასახადების განაწილება. 13) ბრძოლა გადამდებ სენთან, საქონლის ჭირთან, საქონლის და სახლების დაზღვევის მოწყობა და სხვა.

შემდეგ კრებას ულოცავს ს. რ. ფრაქციის სახელით ხმოსანი პ. ქავთარაძე, სამაზრო გლეხთა საბჭოს დავალებით კოსტა პარტახია, ს.-ფ.—მ. კეკელია, ქალაქის საბჭოს—რ. გამსახურდია.

კრება გადადის გამგეობის არჩევნებზე. არჩეულ იქნა გამგეობის თავმჯდომარეთ ი. სალაყაია, წევრებათ: ა. ფიჩხაია, პ. ქავთარაძე და გ. ცეკვაშვილი, ეს უკანასკნელი თავმჯდომარის ამხანაგიცაა. მათი ჯამაგირები: თავმჯდომარეს 18 ათასი მან. წელიწადში, მარა ი. სალაყაია უარს ამბობს 18 ათას მანეთზე და კმაყოფილდება 15 ათას მანეთით, წევრებს თორმეტ-თორმეტი ათასი მანეთი წელიწადში.

დასასრულ წაკითხულ იქნა მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედების შესახებ. კრება ადგენს მისი განხილვა მიენდოს სარევიზიო კომისიას. კრება იხურება დღის 3 ს.

17 სექტემბერი. კრება იხსნება დილის 12 საათზე. წაკითხულ იქნა ორი მილოცვის დეპეშები: თფილისიდან გზათა მინისტრის ლორთქიფანიძისაგან და ა. კორძაიასაგან.

კრების დადგენილებით ჩამოსულ ხმოსანთ ეძლევათ დღეში 30 მან. და სამგზავრო ხარჯები.

შემდეგ ხდება კომისიების არჩევნები. საფინანსო კომისიაში არჩეულ იქნენ: 1) იოსებ სალაყაია, 2) ვ. დემურია და 3) ევგენი ფულარია. სარევიზიო კომისიაში: ლავრენტი გეგენავა, ბ. ხარაბედია და ვ. დემურია. კრება იხურება დღის 3 საათზე.

18 სექტემბერი. კრებას ხსნის თავმჯდომარე გ. მაღნარაძე დილის 10 საათზე.

დღიურ წესრიგის განხილვამდე ხმოსან ი. სალაყაიას შემოაქვს განცხადება, რომ სამხედრო საველე სასამართლოს სენაკში 17 სექტემბერს რამდენიმე პირთათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია, ის წინადადებას იძლევა, რათა საერობო კრებამ თავისი არსებობის პირველი დღეების აღსანიშნავად იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ხსენებულ პირთათვის სასჯელის შემსუბუქება. ყრილობა ამ წინადადებას ერთხმად ღებულობს და აგზავნის შემდეგი შინაარსის დეპეშას მთავრობის თავმჯდომარესთან ახალ სამხედრო მინისტრს: „სენაკის სამხედრო საველე სასამართლომ 17 სექტემბერს რამოდენიმე პირს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სენაკის მაზრის საერობო ყრილობა თუმცა ამ განაჩენს სამართლიანად სთვლის იური-

# მოლაპარაკება

**ევგ. გეგეჭკორისა ალექსეევის შტაბთან და ყუბანის მთავრობასთან.**

**(სტენოგრაფიული ანგარიში)**

მოლაპარაკებას დაესწრნენ: 1) გენერალი ალექსეევი, 2) დენიკინი, 3) შულგინი, 4) სტეფანოვი, 5) გენ რომანოვსკი, 6) გენერალი დრაგომიროვი, 7) ლუკოვსკი, 8) გეგეჭკორი, 9) გენ. მაზნიაშვილი, 10) ბიჩი (ყუბ. წარმომადგენელი), 11) ვორობიოვი, 12 № №.

**გენ. ალექსეევი:** მოხალისე ჯარის და ყუბანის მთავრობის სახელით მივესალმები ჩვენი მეგობარ საქართველოს წარმომადგენლებს ევ. პ. გეგეჭკორს და გენ. მაზნიაშვილს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მოლაპარაკება დამთავრდება ნაყოფიერად და სასურველად, რადგანაც ჩვენ შორის არ არის ისეთი რამ, რომელიც დავას გამოიწვევს. თავდაპირველად მე საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ მოხალისეთა ჯარს არა აქვს არავითარი მისწრაფება და სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მას სცნობს სავსებით, დეე იცოდეს საქართველომ, რომ ის ამ მხრით სავსებით უზრუნველყოფილია.

მაგრამ, რადგანაც მოხალისეთა ჯარი იღებს ასეთს მოვალეობას თავის თავზე, ის უნდა ელოდეს საქართველოსაგან აგეთივე დამოკიდებულებას. ამავე დროს მე აშკარად უნდა ვსთქვა, რომ საქართველოში რუსებს მტრულად შეხვდნენ, რასაც ჩვენ სულ არ მოველოდით, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ რუსებს სდევნის არა მასსა, ხალხი, არამედ თვით მმართველი წრეები. შემდეგ მოლაპარაკების დროს ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფაქტს ანგარიში არ გაუწიოთ, როდესაც ჩვენ ვიცით, თუ რამდენ უსიამოვნებას განიცდის რუსი მცხოვრები კავკასიაში. წინეთ ხომ ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთთან ცხოვრება და ჩვენს პოლკებში ქართველებიც მსახურებდნენ. ასეთ თქვენს დებულებას ჩვენ ვერ შეურიგდებით.

თქვენი ორიენტაციის მიმართულება, შინაური თქვენი პოლიტიკის საქმეები ჩვენ არ გვეხება, ეს თქვენი შინაური საქმეა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ გერმანელების ბატონობა რუსეთის მიწა-წყალზე მოხალისეთა ჯარის და ყუბანის წინააღმდეგ. რატომ გერმანელები ამაგრებენ ადლერს? ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფაა? საქართველოს ტერიტორიაზე დეე ქართველებმა რაც უნდათ ის აკეთებინონ, მის გარეშე კი არ უნდა იყოს არც ერთი გერმანელი. ამ საკითხთან ერთად იბადება მეორე საკითხი: რომელ საზღვრამდის შეიძლება მათი მოქმედება გავრცელდეს? ეს მეტის მეტად მწვავე და სერიოზული საკითხია, რომლის გადაჭრასთან დაკავშირებულია ყველაფერი ის, რის გადასაწყვეტად ჩვენ აქ შევიკრიბენით. და აი მე მივიღე დეპეშა ერთი თქვენი გენერალისაგან, რომელმაც თავისი მთავრობა დააყენა ტუაპსეში და უკვირს რათ იქნა ეს მთავრობა გადაყენებული. ახლა კი სოჭს და ადლერშიც ქართველების მთავრობაა. შეიძლება თუ არა ამ ოლქებზე ვილაპარაკოთ ისე, როგორც ქართულ ოლქებზე მაშინ, როცა საქართველოს და ჩვენ შორის მთელი ერთი ოლქია—აფხაზეთი. ეს ოლქები წმინდა რუსული ოლქებია და შედიან რუსეთის ტერიტორიაში რა არის მდინარე კუდესტა, რატომ არის უფლებო ხელით წართმეული 25 ვერსის მანძილი ამ მდინარიდან, არა, ბატონებო, ასე არ შეიძლება! ის საზღვარი, რომელიც დამყარებულია 1905 წელში უნდა იქნას დაცული, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩვენ შევთანხმდეთ თქვენთან.

ახლა საქონლის გაცვლა გამოცვლაზე იცოდეთ, რომ გერმანელებს ყველაფერი გააქვთ როგორც დონიდან, უკრაინიდან, ისე საქართველოდან. ამიტომ თუ ჩვენ ხელშეკრულება შევკარით და თუ მოგეცით თქვენ რაიმე საქონელი, ჩვენ უნდა გვქონდეს გარანტია იმისა, რომ გერმანელებს არ ვკვებავთ. რომ ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით საქართველოს, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ თქვენ მოსვლამდე, მე გავუხსენი გენერალ თაყაიშვილს 250,000 მანეთის კრედიტი პურის შესასყიდლად და საქართველოში გასაგზავნად. სჩანს, ჩვენ წინეთაც გვქონია ტენდენცია საქართველოსათვის დახმარების გაწევისა. და თუ ჩვენ ასე მივდივართ თქვენს შესაგებებლათ, თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ, რას წარმოადგენდა კავკასია რუსეთისათვის? რუსებმა დახარჯეს კავკასიაში აუარებელი თანხა, ამავ დროს კი კავკასიაში ბევრი რუსეთის ქონება დაგროვდა, ყველაფერი ეს რუსის კაპიტალი. განა რკინის გზები, რომელიც გაყვანილია, განა თითეული ვერსი ჩვენი არ არის? და თუ ყველაფერი ის, რაც რუსეთის ცენტრიდან შემთხვევით დარჩა მოგროვილი იქ ყველაფერი უნდა გადავიდეს ქართველების, სომხების და თათრების ხელში მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი ეს მოტანილია ცენტრიდან და გროვდებოდა დიდი რუსეთის გულუხვი ხელით, მაგრამ აი შეხედეთ იმ სურათს, რომელსაც წარმოადგენს ის ადგილები, სადაც საქართველოს ჯარმა გაიარა. რეკვიზიციას უშვრებიან ავტომობილებს, საწყობებს, ფურგონებს და სურსათს. სამხრეთი ნაწილი ახალ სენაკიდან სოხუმამდე გამოცხადებულია საქართველოს სახელმწიფო კუთვნილებათ. რა საფუძვლით თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემო-ჩამოთვლილი ქონებით და თქვენი განკარგულების ქვეშ იქონიოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყველა ეს მილიონები გამოწვეულია რუსეთის ცენტრიდან. შემდეგ ფულათ წაღებულია სოჭში 800.000 მ. და სოხუმში 230,000 მ. რასაკვირველია გზის მმართველობამ განაცხადა პროტესტი ამის შესახებ, მაგრამ ეს სად მიგვიყვანს?

გენერალ მასლოვსკის გადაეცა ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ ის სავსებით გაფუჭებულია და ასეთი მოქცევა ბ. ქართველ აფიცრებისა სრულიად არ არის ლოიალური დამოკიდებულების მაჩვენებელი.

აღვნიშნე რა ეს ყველაფერი, მე კიდევ ვიტყვი ერთხელ, რომ მე ვარ მოხალისეთა ჯარის უფროსი, რაც შეეხება ყუბანის მთავრობას, ის თავის შესახებ თვითონ იტყვის. სასურსათო საკითხის შესახებ ჩვენ თქვენ დაგეხმარებით და ამ საქმის მოსაწესრიგებლად მთავარი საკითხის გადაჭრის შემდეგ უნდა დავაარსოთ განსაკუთრებული ორგანო, რომელიც საქონლის გაცვლა გამოცვლას აწარმოებს. მაგრამ იცოდეთ, რომ მხოლოდ მაშინ გაუშვებთ, თუ გინდ ერთ ფუთ პურს, როცა გამოცვლება რუს აფიცრებთან დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა, ვინაიდან ყველაფერი ის, რასაც იქ ადგილი აქვს, და თვით იძულებითი გადასახლება რუსებისა ჩვენთვის დიდათ შეურაცხმყოფელი გარემოებაა. რაც შეეხება სასურსათო ორგანოს, მან უნდა აწარმოოს სასტიკი აწერა იმ საგნების, რაც საჭიროა საქართველოსათვის, რომ არაფერი არ ჩაუვარდეს ხელში გერმანელებს, რომლებმაც გამოსწოვეს ყველაფერი დონში, უკრაინაში და ახლა მზათ არიან სხვას მიყონ ხელი.

ახლა მე გთხოვთ დასვათ შემდეგი ცალკე კითხვები და ვსთხოვ ყუბანის მთავრობის წარმომადგენელს გამოსთქვას თავისი აზრი:

1) საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ თუ რა აზრის არის.

2) საქართველოს და ყუბანის საზღვრები.

3) საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

4) რუსებისადმი მოპყრობა ქართველებისა საქართველოში.

5) რეკვიზიცია წმინდა რუსული ქონებისა.

დანარჩენი კითხვები გამოირკვევა მსჯელობის პროცესში, ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს წესრიგი სრულია და ვთხოვ გამოსთქვას თავიანთი აზრი ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებს.

**ბიჩი** (ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენში არ იწვევს არავითარ ეჭვებს და ჩვენ ვსცნობთ მას სავსებით, ვინაიდან ყოველთვის მთელი ისტორიის განმავლობაში ყუბანს საქართველოსთან ჰქონდა მეგობრული განწყობილება და ვფიქრობ, რომ ეს მეგობრობა შემდეგშიაც გაგრძელდება. რაც შეეხება საზღვრებს, სადაო არც აქ არის არაფერი. მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. იყო ყუბანის ნაწილი და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ სხვანაირად შევხედოთ ამას დღეს. მე მგონია, რომ მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. გადაკეთების ძალით უნდა შევიდეს ყუბანის შემადგენლობაში.

**გენ. ალექსეევი.** პირველი საკითხის შესახებ ყველაფერი გავათავეთ. ჩვენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებმა და ყუბანის მთავრობამ უკვე გამოვსთქვით თავიანთი იზრები.

**გეგეჭკორი.** მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს არ შემიძლია, პატივცემულო გენერალო, თქვენს სიტყვას პასუხი არ გავსცე. ჩემს მოვალეობათ ვსთვლი ავღნიშნო, რომ ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის მეტის მეტად ძნელი იყო თქვენი ბრალდებების მოსმენა. მართალიც ამაზე უფრო მძიმე ბრალდებების წარმოდგენა ძნელია, ვინაიდან ჩვენ აქ ბრალს გვდებენ ყოველგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში. ბრალს გვდებენ იმაში, რომ ვითომ ჩვენ ვისარგებლეთ მდგომარეობით და ხელთ ვიგდეთ ის, რაზედაც უფლება არ გვქონდა, რომ ჩვენ ძალადობას ვხმარობთ რუს მცხოვრებლებზე, განსაკუთრებით კი რუს ოფიცრობასა და მოხელეებზე და საერთოდ მთელი ჩვენი პოლიტიკით ჩვენ ვქმნით ისეთ ატმოსფერას, სადაც შეუძლებელია ურთიერთ შორის შეთანხმებითი თანამშრომლობა—მუშაობა.

მე ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთი ხასიათის ბრალდებანი არ გვაშინებს მაშინ, როცა მას ვხედავთ ჩვენ უპასუხისმგებლო ორგანოს ფურცლებზე, სადაც ტალახიანი ხალხი ერთ ერს მეორის წინააღმდეგ უსისინებს და ილაშქრებს იმ პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, რომელიც მას არ მოსწონს და ჩვენ დამშვიდებით უყურებთ ამას, რადგანაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა იციან სიმართლე, სინამდვილე და თავიანთ ბრალდებებს არ აშენებენ ქვიშურ ჭორებზე. გენერალ ალექსეევს იცნობს მთელი რუსეთი, ვიტყვი მეტსაც, სხვაგანაც იცნობენ. ჩვენ მივეჩვიეთ მის პატივისცემას, თუმც შეიძლება მის პოლიტიკას და შეხედულებებს არ ვიზიარებდეთ და როდესაც გენერალი ალექსეევი შესაძლებლად ცნობს გაიმეოროს ეს ბრალდებანი იმ ფორმით და ტონით, რომლითაც მან ეს აქ გააკეთა, მაშინ მე ვფიქრობ, რომ საქმე მართლაც სერიოზულ ხასიათს იღებს. მაგრამ თავისთავად რაზეა აშენებული ეს ბრალდებები? უწინარეს ყოვლისა მოვალეთ ვრაცხ თავს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს, მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი საბოლოვოთ დაინგრა, როცა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა 2000 სხვა და სხვა რესპუბლიკები, როცა საბოლოოდ დაგვეკარგა იმედები, ახლო მომავალში რუსეთის მთლიანი ფრონტის აღდგენისა, მხოლოდ მაშინ, ექვსი თვის ტანჯვის შემდეგ, რომელიც შედეგი იყო საგარეო ფრონტზე დამარცხებისა, საქართველო მიტოვებული ყველასაგან თავის ძალების ამარა, იმისთვის რომ ეხსნა თავისი თავი და შეენარჩუნებინა ხალხის ფიზიკური არსებობა, იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ სანამ ჩვენ ამ ნაბიჯს გადავდგამდით, მანამ მივმართეთ ყველას დახმარებისათვის, მივმართეთ ბოლშევიკებსაც, მაგ-

რიდიულის თვალსაზრისით, მაგრამ პატივსაცემლად კაცობრიობის უმაღლეს იდეალებისა და თავის პირველი არსებობის დღეების აღ ანიშნავად მოგმართავთ თქვენ შუამდგომლობით, რათა შემსუბუქებულ იქნას სასჯელი პირებისა და ბრწყინვალე დღეები პირველი საქართველში ერობის თვითმართველობის მოწვევისა არ იქნას დაჩრდილული სიკვდით დასჯის აქტით.

ერობა თავისი კულტურული და განმანათლებელი მოღვაწეობით შეიტანს სხივებს შეგნებისა ბნელ მასაში, რომელიც ერთად ერთი გარანტიაა, რომ ასეთი დანაშაულობანი არ განმეორდეს მომავალში. სენაკის მაზრის საერობო კრილობა იმედოვნებს, ეს პირველი მისი მომართვა მთავრობისადმი უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული".

ეს დადგენილება ეცნო ქ. ზუგდიდში გენერალ გედევანიშვილს და სენაკის კომენდანტს და ეთხოვა მათ, რათა დროებით შეჩერებულ იქნას განაჩენის სისრულეში მოყვანა.

შემდეგ კრება ისმენს სახალხო სკოლების ინსპექტორ ლ. გაგუას მოხსენებას მაზრის სკოლების ცუდ პირობების მდგომარეობაზე.

ამ დღესვე არჩეულ იქნა შემდეგი კომისიები: საექიმო, სატეხნიკო, სასურსათო, სწავლა განათლების, ეკონომიურ ალორძინების და საადმინისტრაციო და სასამართლოს.

კრება იხურება დღის 1 საათზე.

კრების გაგრძელება. კრება იხსნება საღამოს 7 საათზე, თავმჯდომარე გ. მაღნარაძის მოხსენებით წვრილ ერთეულების შემოღების შესახებ. მომხსენებელი შიშს გამოსთქვამს, ვაი თუ საზოგადოებათა გადაჯგუფებამ არევ დარევა გამოიწვიოს და საბაბი მისცეს ხალხის მტრებს და ერთხელ კიდევ გაილაშქროს მთავრობას წინააღმდეგ და მოყავს სხვა ბევრი არგუმენტებიც, რომ ეს ასე არ მოხდეს, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ მაზრაში იმდენი ერობა მოეწყოს, რამდენი საზოგადოებაა, ან და ეს საკითხი გადადებულ იქნას იმ დრომდე, სანამ სხვა ერობები გამოსთქვამენ ამ საგანზე თავიანთ შეხედულებას.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, საიდანაც აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. საბოლოოდ ამ საკითხის გარჩევა მიენდო საგანგებოთ არჩეულ კომისიას.

დანარჩენი დღეები კრებამ მოანდომა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, გამოირკვა, რომ მაზრის ადმინისტრაციის შენახვა ერობას დაუჯდება 1.527,300 მან. წელიწადში. საერობო თვითმართველობის შენახვა და მისი მოწყობა 232,400 მან.; სატეხნიკო განყოფილებას—1,460,400 მან.; სახალხო განათლებისა 4.465,700 მ.; მედიკო-სანიტარული ნაწილისა—1,795,900 მან.; ეკონომიურ ალორძინებისა—1.013,800 მ; სასურსათო ნაწილზე—502 800 მ.; ფინანსიურ-სტატისტიკური ნაწილზე 232 800 მან.; გასავალი უდრის—12.324.487 მან. 20 კ. 15 დღის მუშაობის შემდეგ კრება დაიხურა 29 სექტემბერს დღის 3 საათზე.

X.

## დაუტირალი

(სანდრო კეცხოველს).

ქართლო შენს ცაზე, შუაგულ დღეში
გადმოვარდება მძლავრი რამ გრგვინვა,
დაიძვრის მთელი არე მიდამო,
გაირბენს ელდა და ჩუმი დრტვინვა;
არც ღრუბელია არც სადმე ნისლი,
მხოლოდ ანათებს, მზე ოდნავ მცხრალი,—
„ალბათ მუშაობს წერა-მწერელი",—
ალბათ ღმერთია შენზედ გამწყრალი!..
გაივლის წამი, ქართლო შენს თავზე
ჩნდება სურათი რამე ზღაპრული,
თავზარდამცემი რამ სიდიადე,
ვით მაცხოვარი ჯვარზე გაკრული.
მოხუცი ვინმე მკერდ გაპობილი,
თვალებ დათხრილი, ყელ გაფათრული,
მას მზის მანდილი შემოხვევია—
დაგყურებს წყნარი და დაღვრემილი...
მსგავსია მზეზე გამოსულ მთვარის,
მკრთალი მოლურჯო მისი ღიმილი!
მარჯვენა ხელი შენსკენ უპყრია,
უხვად მოწყვეტით დაკიდებული
და შიგ უპირავს წითლად მღელვარე
სიცოცხლის ნჭქეფა თავისი გული...
იქნება ქართლო შენ გეყურება
ზე გარდმოსული ნების კვეთება,
როცა მოხუცის გმირული გრძნობა,
შენს გულზე წითლად დაეწვეთება.
მაგრამ რას ნიშნავს ცარიელს ცაზე
ამოვარდნილი ყრუ გრგვინვა მეხი?—
ბუნებას ახლავს უკუღმართობა,
ზოგჯერ ქორწილში მოაქვს ქელეხი..
შენს ცხოვრებასაც ქართლო ბედშავო,
ასე სდგომია მუდამ ხის ფეხი,
რომ შავს მიწაზე ღრმათ ეფლობოდე,
რომ მონა იყო და მუდამ გლეხი!
მოწმენდილ ცაზე პირჯვარს იწერდი,
აქაც გესმოდეს ღრუბელთა ბოდვა
და მერე მორწმუნე შრომის კისერზე
გეკიდოს მარად კაინის ცოდვა...
ამბობს მშიერი ველურის მცნება:
„კაცი სხვაგი და მიწა ლეში".—
ის დრო წავიდა მაგრამ შენ ისევ
შავს მიწას ეძებ შავ სიბნელეში,—
რომ ამით წმინდა თავისუფლება
გადაიჩეხოს ვიწრო ღელეში..
მაშ რა ხმა გრგვინავს ნაღვლიან ცაზე,
ვისი ჰკიდია მაზედ ცხედარი?
შენ პირჯვარს იწერ, მაგრამ ეგ ლოცვა
შენთვისვე არის გაუგებარი:
მოჰკლა შენი ძმა, მოხუცი მამა,
შენი ერთგული და მეგობარი...
იგლოვებ, მაგრამ ვერ დაიტირებ,
თუნდ თვით ზეცაზე შეაბა ზარი,—
შენს გულში მხოლოდ მიწა ჩაცვივდა
ის კი იცოცხლებს არ არის მკვდარი!.

ვ. ტუქხიშვილი.

5 სექტემბერი 1918 წ.

## მკვლელობა და უპასუხისმგებლობა

(კოლია ჯაშის მკვლელობის გამო).

ისე გაიაფდა მკვლელობა, რომ ყველას შეუძლია მოკლას კაცი კერძო ინტერესებზე აგებული შურით და მერე კი თავი იმართლოს. საკმარისია სთქვას, რომ უცაბედი შემთხვევით მომივიდაო და ეს კიდევ 2—3 პიროვნებამ დაადასტუროს, რომ ის ყოველგვარ პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდეს. ასეთი მაგალითები ბევრი იყო და ვინ იცის კიდევ რამდენი მოხდება. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც ჩვენ გვაშფოთებს და რომელიც ყველა ადამიანში ზიზღს გამოიწვევს.

საქმე შემდეგშია:

23 აგვისტოს, როდესაც ჯავშნიანი მატარებელი № 1 თფილისის სადგურზე იდგა, მოდის იონა მამალაძე, იხმობს ამ ჯავშნიანზე მოსამსახურეს—კოლია ჯაშს და როდესაც კოლია გამოდის გარეთ, ხსენებული მამალაძე მაშინვე ისვრის თოფს და ჰკლავს კოლია ჯაშს, ჩვენ ხსენებული მამალაძე მაშინვე შევიპყრეთ და გადავეცით სადგურის კომისარს საქმის გამოსაძიებლათ. ჩვენ გვეგონა საქმის გამოძიება სწარმოებდა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ იონა მამალაძე თავისუფლად დანავარდობს და არც არავითარი გამოძიება ამის გარშემო არ სწარმოებს.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთი „პატარა" პიროვნებისათვის, როგორიც იყო კოლია ჯაში—თავს ნაკლებათ იტკივებენ და არავითარი პატივისცემა მათდამი არ არსებობს, მაგრამ უპატივისცემლობაც არ უნდა მიდიოდეს იქამდი, რომ ადამიანი მოკლან სრულიად უდანაშაულოდ კერძო ინტერესებით და ის ყოველგვარ პასუხისმგებლობიდან განთავისუფლდეს... თუ ეს ასე გაგრძელდება, გუშინ კოლია მოგვიკლეს—ხვალ კიდევ სხვებს მოუსპობენ სიცოცხლეს და ამ რიგათ ეს მკვლელობა სისტემატიურ მოვლენათ გადაიქცევა.

ჩვენ, ჯავშნიან მატარებელ № 1-ის „კომანდა", ჩვენი ძვირფასი ამხანაგის—კოლია ჯაშის მკვლელის მამალაძის ასე გამოუძიებლად განთავისუფლება გვაშფოთებს და მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ დაპატიმრებულ იქნას იონა მამალაძე და გასამართლებულ იქნას № 1 ჯავშნიან მატარებლის „კომანდისა" და სხვა მოწმეების დაკითხვის ქვეშ.

დაუყონებლივ სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი ვისგანაც ჯერ არს.

ხელს აწერს ჯავშნიან მატ. № 1-ის „კომანდის" სრული შემადგენლობა.

---

**ჯავშნიან მატარებელ № 1-ს გარშემო.**

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გარეშე ძალა ჩვენს თავისუფლებას ემუქრებოდა, როდესაც ჩვენს ქვეყანას უკულტურო ურდოები ყოველი კუთხიდან შემოესია და უნდოდათ მისი წალეკვა და დედამიწის პირიდან აღგავა, ყველა რევოლუციონური, ჭეშმარიტი დარაჯნი თავისუფლებისა ფეხზე დადგნენ და თავ გამოდებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ: იბრძოდნენ, რადგან სწამდათ, რომ თუ ისინი დაიპყრობდნენ ჩვენს ქვეყანას—თავისუფლებას უნდა გამოთხოვებოდენ და ის იმედი მომავალისა, რომელიც ასულდგმულებს მუშათა კლასს,—დიდ ხნობით უნდა დაესამარებინათ...

მაგრამ, სამწუხაროთ ამ ნამდვილი რევოლუციონერთა რაზმში გაერივნენ „მოდის სოციალისტები", რომლებიც მხოლოდ შემთხვევით სარგებლობდენ, გამეფებულ ანარქიაში „რევოლუციონერის" სახელით თავისუფლათ ფართობდენ და აკეთებდენ თავიანთ საქმეებს. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ ჟამად საერთოთ იმ მოდის „რევოლუციონერების" ბოროტ მოქმედებათა ძიებას; — ეს ყველგან ხდებოდა და ამ ყველას ვერც ჯავშნიანი მატარებელი №-რი 1-ლი ასცდა.

როგორც მოგეხსენებათ, ჯავშნიანი მატ. 1 №-ზე კომიტეტი მოქმედებდა მატარებლის უფროსთან შეთანხმებით და ეს იყო მიზეზი, რომ იქ ყოველ გვარი წესიერება დაცული იყო; მაგრამ მიუხედავათ ამისა, იქ მაინც აღმოჩნდა ისეთი პირები, რომლებიც ბოროტ მოქმედებას ეწეოდენ და თავიანთი უხნეო საქციელით სახელს უტეხდენ და ჩირქს სცხებდენ ჯავშ. მატ. კომანდას. ამის შესახებ კომიტეტმა და მატ. უფროსმა მიიღეს ენერგიული ზომები და ყველა ის ბოროტ მოქმედნი აღმოაჩინეს, რომლებსაც შესაფერი „გზაც" აღმოუჩინეს.

ჩვენ მოგვყავს ზოგიერთა იმ პირთა მოქმედების ნიმუში და მათ პიროვნებას საქვეყნოთ ვააშკარავებთ, დეე იცოდეს ყველამ ბოროტ მოქმედთა სახელი და გვარი და ყველამ მათზე იქონიონ თავიანთი შეხედულება.

1) პორუჩ. ნესტორ (ქურქა) ნადირაძემ ყალბი ქაღალდით გამოიტანა ჯავშ. მატ. № 4-ის სახელით რკ. გზის ადმინისტრაციიდან ორი ფუთი სანთელი, გაყიდა და ფული თვითონ მიითვისა,—მას ადვილათ ეხერხებოდა ყოველ-გვარი სიგლახის ჩადენა, ის კამანდამ დაატყვევა და პასუხის-გებაშია მიცემული.

2) ანტონ სირაძე, რომელმაც მოიპარა ტანისამო ი (თავისივე ამხანაგის), რევოლვერი (ნაგანა) და სხვ.

3) პეტრე ჯულელი, რომელიც გაიპარა სამსახურიდან და გაიტაცა თოფი, ტანისამოსი და სხვ.

4) მირიან სირაძე, როგორც სამსახურის ასრულებაში დაუდევარი და ინტრიგანი.

5) გიორგი სეფერთელაძე, როგორც ბოროტ-მოქმედების ჩამდენი და არა საიმედო პიროვნება და სხ.

ყველა ზემო-აღნიშნული პიროვნებები გაძევებულნი არიან ჯავშნიან მატარებელ № 1 დან და აღნიშნული მატარებლის კომიტეტი და უფროსი აცხადებს საყოველთაოთ, რომ ისინი სხვა ჯავშნოსნებზე ან ასეთ საპასუხისმგებლო პოსტებზე დაშვებულნი არ იქნან.

შემდეგში კი ჩვენ, ოდნავი შემჩნევისათვის, რომელიც მიმართული იქნება ადამიანურ პრინციპების წინააღმდეგ, ასეთ პიროვნებებს შესაფერად გაუსწორდებით და მათ ჩვენში არავითარი ადგილი არ ექნება...

ჯავშნიან მატარებელ № 1-ს უფროსი და კომიტეტი.

## თეატრი და ხელოვნება

**გალაქტიონ ტაბიძის საღამო.**

ოქტომბრის 5-ს თფილისის კონსერვატორიაში გაიმართა გალაქტიონ ტაბიძის „პოეზიის საღამო", რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მგოსნებმა „ყანწელების" სკოლიდან. უკეთესი იქნება ამ საღამოს უწოდოთ „ცისფერი ყანწების საღამო", ვიდრე გალაქტიონის, რადგანაც თვით მედღეობის და გ. ქუჩიშვილის ლექსთა და ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვის გარდა, ჩვენ ვიხილეთ მარტოოდენ „ყანწელთა" პოეზიის დემონსტრაცია. საღამომ თავიდანვე არ უღალატა „აღმოსავლეთის ტრადიციას" და საათნახევრით გვიან დაიწყო.

მთქმელთა მიერ განმეორებულ იქნა ძველი, მაგრამ წარმოთქმულ იქნა ახალი ლექსებიც. ზოგიერთები (ალი არსენიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. კოტეტიშვილი) მოკლეთ სიტყვებში შეეცადნენ გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის არსის გარკვევასა და დახასიათებას, მაგრამ ოდნავადაც ვერ ასახეს ის მოტივების სიდიადე და ულეველობა, რომელიც მის შემოქმედებაში არის ჩამარხული: მათ ახალი ვერა გვითხრეს რა და ჩვენი პოეტის მართლაც და საუკეთესო დამფასებელის ივანე გომართელის აზრებს ლადასტრიალებდნენ. ალი არსენიშვილი, რომელსაც ჩვენის აზრით უფრო აზრთასიჩქარე უნდა სჭარბობდეს, მეტად მოწყენით და სიტყვათა ტკენით ამტკიცებდა იმ უდავობას, რომ გალაქტიონ ტაბიძე ჭეშმარიტი პოეტია. ასე გასინჯეთ ის გაკვრით რაღაც პარტიულობასაკ კი შეეხო და უაზრო ბუნდოვანობა დაჰბადა. ამ მხრივ (კრიტიკის) უფრო საგულისხმო იყო გრ. რობაქიძის მოკლე და კორტა სეფე-სიტყვა, რომელმაც „მესხური გადმოხედვის" და სალი კულტურის ნატეხები აჰკინძა მის შემოქმედებაში.

აღნიშნავდენ აგრეთვე გალაქტიონ ტაბიძის ახლობლობას და ნათესაობას ჩვენს „ყანწელებთან", რომელთაც საუბედუროდ კიდევ ერთი დიდი ნაკლი აქვთ—mania grandiosa,—მაგრამ ჩვენის აზრით მათ შუა სხვაობას და შორეულობას უფრო მეტი ადგილი უკავია ამ ხრივ მართალია ტიციან ტაბიძე, რომელმაც პოეტს „მარტოობის ორდენის კავალერი" უწოდა. როგორც „შავი მერნის შავი მხედარი" ნიკოლოზ ბარათაშვილი მარტო იყო თავის „შემოღამების" ქმნადობის დროს, ისევე მარტო და ერთეულია გალაქტიონ ტაბიძე თავის „მზიურ ღამეში" და ისევე დარჩება შემდგომც. თუმც ვ. კოტეტიშვილი შეეცადა დაემტკიცებინა ნ. ბარათაშვილის და გ. ტაბიძის უნათესაობა, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ ამ ორ ნიჭთა შუა რაღაც სულიერი ურთ-ერთ ლტოლვაა, ნათესაობაა, თუნდაც იმაში, რომ წინააღმდეგ ვ. კოტეტიშვილის რწმუნებისა, ორივე ელებს მსოფლიოს და დასტირის მის ბედს, თუმცა პირველში უფრო სჭარბობს აქტივობა, მეორეში კი პასსივობა.

თავიანთ შემოქმედების ახალი ნაკვთეები მოგვცეს გრ. რობაქიძემ და თვით მედღეობემ პირველის „დიადი შუადღე" და „აქლემი" ახალი პოეზიის უებრო ნატეხებია. აღმოსავლეთის და ჩვენი ძველი მესხური კულტურის მიღება იმ კრიტერიით, რომლითაც ავტორი უდგება (არა ნირვანისებური) უფრო პროგრესიული და დადებითი მოვლენაა. „უკანასკნელი ლექსი" გალაქტიონ ტაბიძის სამარგალიტო საგანძურია ჩვენს პოეზიაში, მაგრამ [illegible] კიდევ დიდხანს [illegible] დღლი შემოქმედების [illegible]

გიორგი [illegible] თხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ის რჩება ნიჭიერ რეალისტ პოეტად, რომლის მოტივებს ლირიკაც გამოჰყვება ხოლმე, და ეს რეალობა, გატარებული მის ხელოვნურ პრიზმაში, ჭეშმარიტი პოეზიის ნაკადულებად გადმოსჩქეფს.

მხოლოდ მართებულია მას წინსვლა დაეტყოს.

„პოეზიის საღამოს" ბევრი ნაკლი ჰქონდა, გალაქტიონ ტაბიძის და ზოგიერთთა პოეტთა ახალმა ნაკვთებმა საზოგადოთ ეს ნაკლი დაჰფარეს.

მ.

## მუშათა შორის

**ფოთი.** ამ უკანასკნელ ხანებში პროფესიონალური მოძრაობა ფოთში საგრძნობლათ გაძლიერდა. ნავთსადგურის მუშებს ხე ტყის მუშებმაც წაბაძეს და დაიარსეს თავისი კავშირი, რომლის დამფუძნებელი კრება 25 ს სექტ. შესდგა. მოხსენება გააკეთა საზოგადო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობაზე ამხ. ვ. ნოდიამ. აქვე არჩეულ იქნა გამგეობა სამი პირისაგან: ა. დ. გუბელიძე, ბ. ქუონია და თ. ხომერიკი. ჯერ ჯერობით კავშირში ჩაიწერა 40 კაცი. კავშირს მიზნათ აქვს ახლო მომავალში იაფ-ფასიანი სასადილო გახსნას. ახალი გამგეობა უკვე მოქმედებას შეუდგა.

ლ. კილურაძე.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 3 ოქტომბერს შესდგა მეორე რაიონის კოლექტივის ს. დ. პარტიის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება, საზოგადო კრების მოწვევა, სარევიზიო კომისიის მოხსენება, ბიუროსათვის ბინა, ახალი წევრების მიღება და მიმდინარე კითხვები. კრებამ მოისმინა რა გასული კრების ოქმი, მიიღო ის მხედველობაში და გადავიდა მორიგ კითხვებზე. ქალაქის თვითმართველობის საბჭოზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ტოროშელიძე, ის ამბობს, რომ ჩვენი ამხანაგები საბჭოს წევრები არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს, რის გამო ზოგიერთა საჭირბოროტო კითხვები არა სასურველათ წყდებაო და მოუწოდა ამხანაგებს აუცილებლათ ესწრობოდენ საბჭოს ყოველ სხდომებს. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა პარლამენტის ს. დ. ფრაქციას დაუდგენია, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება მიეცეს ილაპარაკონ უმცირეს. წარმომადგ. ერთ-ერთ ენაზე, ხოლო რაც შეეხება ქვეშევრდომობის საკითხს, პარლამენტის ს. დ. ფრაქციას გადაუწყვეტია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრად მიღებულ აქნან ისეთი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომლებიც საქარ-

---

რამ ჩვენი ძახილი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცენტრო ფლოტის ღალატს, გაცემას, წინააღმდეგ ჩვენ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, რომელიც გვარწმუნებდა ვილჰელმის დეპეშით იმაში, რომ არც ერთი გემი არ წავა ბათუმის დასაცავად. აი სწორეთ ასეთ მომენტში, 26 მაისს 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომელიც წამოყენებულია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და გამოიხატება რუს ოფიცრების დევნაში, მე როგორც საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენელს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ეს ბრალდებები სრულიად უსამართლოა.

სად, თუ არა საქართველოში მიდიოდნენ აფიცრები, როცა მათ რუსეთში დევნა დაუწყეს? ყველა კუთხეებიდან მოდიოდენ აფიცრები და ჩვენ მათ ვღებულობდით და ჩვენ სუსტ საშვალებებს მათ უზიარებდით, ვაძლევდით ჯამაგირებს, ვკვებავდით მათ და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ დახმარებას უწევდით. და მე ამაყათ შემიძლია აქ განვაცხადო, რომ იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში გამეფებული იყო საშინელი თვითგასამართლება, მაშინ მხოლოდ ჩვენში, საქართველოში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა რუსი აფიცრის თვითგასამართლებისა და მასზე ძალადობისა. ეს მიეწერება მასის შეგნებას და პოლიტიკურ ხელმძღვანელების მუშაობას. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაშინ რუსი აფიცრობის ზოგიერთმა ნაწილებმა მტრული განწყობილება გამოიჩინა ამ გარემოებისადმი, თითქმის მის წინაშე დანაშაულიც კი ჩაიდინეს ზოგიერთებმა. და სავსებით ბუნებრივია, რომ როცა დაუმტკიცდა აფიცერთა ერთ ჯგუფს საინტენდანტო საწყობების დაწვა, მეორეს კი დიდძალი ასაფეთქებელი მასალები აღმოჩნდა მალულად შენახული, მოხდა ზოგიერთ მათგანის დატუსაღება და მათ მოექცნენ ისე, როგორც დამნაშავეთ. ნაწილი დამნაშავეთა და საეჭვო პირთა გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან. ამ გარემოებამ შექმნა ერთი ჯგუფი უკმაყოფილო ხალხისა, რომელთა სულიერი განწყობილება საქართველოს წინააღმდეგ სავსებით გასაგებია. შემდეგ თფილისში, როგორც მთელი მხარის ცენტრში, მოგროვდა დიდი რიცხვი მოხელეებისა, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ უსაქმოდ დარჩენ, ამასთან ერთად დაკავშირებულია შტატების შემცირება და ზოგიერთ დაწესებულებათა ლიკვიდაცია. ყველა მათ მიეცა სალიკვიდაციო ფულები, მაგრამ აშკარაა, რომ იმ სიძვირეში, როგორიც არის თფილისში, ეს ფულები მათ დიდხანს არ ეყოფოდათ. სავსებით გასაგებია ამ ჯგუფის დამოკიდებულებაც საქართველოს რესპუბლიკასთან, მაგრამ სრულებით უსამართლო და უსაფუძვლოა ამ ორ უკმაყოფილო ჯგუფს საქართველოსთან განწყობილებაზე ააშენოთ ბრალდებები საქართველოს და მის მმართველ წრეების წინააღმდეგ. ყველაფერი ის, რაც მე აქ ვსთქვი, დამტკიცებული იქნება ობიექტიური საბუთებით. და მე ვფიქრობ, რომ არ არის არავითარი დანაშაული იმაში, რომ როცა შენდება ახალი სახელმწიფო ის, როგორც ასეთი, ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ როგორმე თავი დააღწიოს ზედმეტ ხარჯებს, რომელსაც იწვევს ზედმეტი მოხელეების ყოლა და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, ვინც განიზრახავს მისი მთლიანობის დარღვევას. დიახ, ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენ ვიცით შემთხვევები თუ როგორ და რა ზომებით იცავთ თქვენ თქვენს თავს. ყველა დანარჩენ საკითხებზე ჩვენ ვილაპარაკებთ იმ პროგრამის თანახმად, რომელიც შემუშავებული გვაქვს. მე კი მინდოდა ამ წინასიტყვაობით გამექარწყლებინა ის ბოროტი სულიერი განწყობილება, რომელიც წინასწარ განზრახ შეუქმნიათ. ჯერჯერობით მე ვათავებ.

**მაზნიაშვილი.** 7 ივნისამდე მე ვიყავი ფრონტზე ოსმალების წინააღმდეგ. ამავე რიცხვიდან, როცა კოჯორთან გამოჩდენ ბალშევიკები და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდენ მათი იქედან განდევნას, მე, ჩემი მთავრობის ბრძანებით, გადავიყვანე ჩემი ჯარი და დავიწყე მოქმედება შავი ზღვის ნაპირებზე, გავწმინდე ის ადგილები ბალშევიკებისაგან და 14 ივლისს ავიღე ტუაპსე. უნდა გითხრათ, რომ მაშინ იმ მიდამოებში გარდა ჩემი ჯარებისა არავისი ჯარი არ იბრძოდა ბალშევიკების წინააღმდეგ. მოხალისეთა რაზმის არსებობაზე კი, ჩვენ სრულიად არ ვიცოდით. ამავე დროს ბალშევიკების შევიწროვებისაგან რომ თავი დაეხწიათ, კლუხორის უღელტეხილისაგან იწყეს დენა ყაზახებმა თავიან ოჯახებით და მათზე მზრუნველობა ჩემი მთავრობის ნებართვით მე ვიკისრე. მხოლოდ ტუაპსეში გავიგე მოხალისეთა რაზმის არსებობა და ერთი კვირის შემდეგ ეკატერინოდარის აღება. ყუბანის მთავრობამ მთხოვა დახმარება; ამ მიზნით მე წავიწიე წინ ბელორეჩინსკაკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენელის ლაპინის თხოვნით ავიღე ხადიჟენსკაია. აი, პირველად აქ მოვიდა მხვერავი აფიცერი მოხალისე რაზმისაგან. ამავე დროს სოხუმიდან მოვიდა 87 აფიცერი პოლკოვნიკი მოროზოვის მეთაურობით, რომელიც მე დავნიშნე მებრძოლ ნაწილის უფროსათ.

ამ ფრონტიდან რამოდენიმე დღის უკან წავიყვანე ჩემი ჯარი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძლიერ მოქანცულნი იყვნენ დიდი ხნის განუწყვეტელი ბრძოლით. რაც შეეხება ცნობას ჯავშნიან მატარებლის გაფუჭების შესახებ, ეს სიმართლეს მოკლებულია, მე მაქვს საბუთი გენ. მასლოვსკისაგან, რომელმაც ის ჩაიბარა, და ამ საბუთში ნათქვამია, რომ მატარებელი გაფუჭებული არ არის. შეიძლება ის დაზიანებულიც იყოს, ამას მე არ უარვყოფ, მაგრამ ეს მოხდებოდა ბრძოლის დროს, ასე რომ მატარებლის გაფუჭების შესახებ ცნობა სიმართლეს არ შეიცავს და აი ამისი საბუთიც. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს შეგატყობინოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით შეცდომა იყო, რომ მე ტუაპსე დავტოვე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოხალისეთა რაზმის ერთმა ნაწილმა, რომელმაც განდევნა ბალშევიკები ნოვოროსიისკიდან, არ მაცნობა ტუაპსეზე მომავალ ჯარის რაოდენობა; მაცნობეს მხოლოდ ის, რომ მოდიან დამარცხებული ბრბოები, რასაც მე ჯეროვანი ყურადღებით არ მოვეპყარი და უმთავრესი ჩემი ძალა მეორე ფრონტზე გადავიყვანე, მაშინ როდესაც მე მომიხდა ბრძოლა 11 ათას კაცთან 200 კაცისაგან შემდგარი რაზმით. ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ ჩემს წინსვლას არ ჰქონდა დაპყრობითი მიზანი, არამედ ის იყო გამოწვეული ყუბანის მთავრობის თხოვნით და ბალშევიკებისაგან თავდაცვის მიზნებით. ტუაპსეში ავიღეთ არა 800,000 მანეთი, არამედ 671,000 მანეთი, მაშინ, როცა ბალშევიკები ტვირთავდენ დრეზინას. ეს ფული ხაზინაშია, რომლისაგანაც შავი ზღვის რკინის გზის მოთხოვნილებისათვის მივეცით ერთხელ 200,000 მანეთი და მეორეჯერ 240,000 მანეთი. ამრიგათ უმეტესი ნაწილი ამ ფულებისა დავაბრუნეთ დანიშნულებისამებრ. რაც შეეხება გემებს, ნავთსადგურების აღების დროს მე მიხდებოდა მათი დატუსაღება, რადგანაც მათი შემადგენლობა ბალშევიკური იყო და ცდილობდენ ბალშევიკებთან გაქცევას. ახლა მათ ლტოლვილები დაჰყავთ. რაც შეეხება „ზემფიროსს", რომელიც თქვენ დაატყვევეთ, უნდა ვსთქვათ, რომ ის მინიჭებული ჰქონდა შავი ზღვის გზას თავისი ნებით. მას გადახდა 10,000 მანეთის ფრახტი; ამავე დროს, გაუგებარი მიზეზების გამო, მისგან აღებულია 100,000 მანეთი საწინდრად.

იმ კონვენციით, რომელზედაც ხელი ქონდა მოწერილი შავი ზღვის გზას, ყველა გემები წავლენ იმ ნავთსადგურებში, რომელზედაც თვითეული მათგანი მიწერილია. რადგანაც მიხდებოდა ჩემი თადარიგიდან ყაზახები და მათი ოჯახების საზრდოება, რომელიც დაგროვილი იყვენ სოხუმში, ყუბანის მთავრობამ მიიღო ეს მხედველობაში და როგორც ვალი გადამიხადა 5,000 ფუთი ფქვილი და 8,000 ფუთი ქერი. ამასობაში სამხედრო გუბერნატორმა დაატუსაღა ეს ტვირთი და არ უშვებს მას.

**დენიკინი.** ეს კითხვა აღძრული იყო მხოლოდ გუშინ და მისი გასათავისუფლებლად მოხდენილია განკარგულება.

**ბიჩი** არა ეს კითხვა დიდი ხანია აღძრულია.

**დენიკინი.** ჩვენ უბრძანეთ დაეკავებიათ ისინი მანამ, სანამ არ გამოირკვეოდა მიზანი სოჭაში საქართველოს მიერ რაზმის გადმოსხმის შესახებ.

**გეგეჭკორი.** რამდენათაც მე ვიცი ბრძანება პურის დაკავების შესახებ გამოცემული იყო იმაზე ბევრათ ადრე, სანამ საქართველოს რაზმი სოჭაში გადმოვიდოდა.

**ვორონოვი.** იცით თუ არა თქვენ, რომ გემებმა, „გენერალმა" და „კორკოდილომ" გამოიტანეს ფოთიდან და გაგზავნეს კონსტანციაში 60 ვაგონი პური და 17 ვაგონი რეზინის შინები.

**გეგეჭკორი.** შინების შესახებ ცნობა არ გვქონია, მაგრამ პური მათ შეუძლიათ იყიდონ თავისუფალ ფასებში და გაგზავნონ კიდეც.

**სტეფანოვი.** მართალია თუ არა ის ცნობა, რომ საქართველოს მთავრობისათვის წინადადება მიუციათ ქუთაისში გადავიდეს.

**გეგეჭკორი.** ეს ტყუილია. გარწმუნებთ, რომ საქართველოს შინაურ საქმეებში ვერავინ ჩაერევა მანამ, სანამ მთავრობის სათავეში იქნებიან ისინი, რომელნიც დღეს არიან.

**შულგინი.** მე ვფიქრობ, რომ უკეთესია დაუმალავად ყველაფერი ბოლომდე ვსთქვათ. აქ, ეკატერინოდარში მოდიან ბევრნი და მოგვითხრობენ, რომ საქართველოში დევნიან და ავიწროებენ რუსებს, აფიცრებს, მოხელეებს, ენას, სასწავლებელს და სხვა. მე მესმის, რომ ყველა ამრიგათ მონათხრობებს დიდი სიფრთხილითა და კრიტიკით უნდა მოვეპყრათ, რადგანაც ამას ლაპარაკობენ ემიგრანტები, შეურაცხყოფილნი; მაგრამ თუ ჩვენ ობიექტიურად ვიმსჯელებთ, უნდა ვსთქვათ, რომ ნაწილი მაინც მართალი იქნება. მე ძლიერ მესიამოვნა ე. პ. გეგეჭკორის სიტყვა, რომ საჭიროა სახელმწიფოს დაცვა და ბრძოლა იმ ხალხთან, რომელიც ანგრევს მას, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ წინეთ ეს არ გამიგონია მისგან. სახელმწიფოს დაცვა ძნელია მათთვინაც, ვინც დიდი ხნით ემსახურებოდა ამ საქმეს და ვინც ეხლახან შეუდგა ამ გზას ის ამ დაცვის საქმეში შესაძლებელია ადვილად გადასცილდეს ლოიალობის საზღვარს და სცილდება თუ არა საქართველოს ახალი მთავრობა ამ საზღვარს? ეს ერთი. მეორე, ნება მომეცით განვაცხადო, რომ განსაზღვრულ სივრცეში დღეს ცენტრი მოხალისეთა ჯარს უჭირავს და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილოეთით მას ავიწროვებენ ბოლშევიკები, დასავლეთით გერმანელები, აღმოსავლეთით ბაქოში ოსმალები და გერმანელები და ამავე დროს სამხრეთით შევიწროებას უწყებს საქართველო.

გვითხარით პირდაპირ, რომ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ მოხალისეთა რაზმის შევიწროების, გარსშემოვლების კომბინაციაში. თუ თქვენ მონაწილეობას ღებულობთ, მაშინ გასაგებია, რომ რუსებთანაც ბოდიშს არ დაიწყებთ. ამისი მაგალითი ჩვენ გვაქვს უკრაინაში. მე ვიძლევი პირდაპირ ამ კითხვას და ვფიქრობ, რომ შემდეგში ეს გაგვიადვილებს ჩვენ მოლაპარაკებას.

(გაგრძელება იქნება)

თველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს ქვეშევრდომები არიან. კრებამ მოისმინა რა უმცირესობის წარმომადგენელთა ენის ხმარებისა და ქვეშევრდომობის შესახებ მოხსენება, საჭიროთ დაინახა, რომ უმცირესობის წარმომადგენელთ უფლება ჰქონდეს ილაპარაკონ თუ მოისურვებენ რუსულ ენაზე, და აგრეთვე გადაუთარგმნონ მათ ის რეზოლიუციები, რომელსაც კენჭი ეყრება და მათთვის გაუგებარი იქნება, ხოლო უმცირესობის წარმომადგენლები თუ ხალხის ნდობით არიან აღჭურვილნი დაშვებულ იქნეს პარლამენტში. ბიუროს ბინის შესახებ კრებამ გადასწყვიტა აირჩიოს სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც იშუამდგომლებს ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ კოლექტივის ბიურო დარჩეს სახალხო სახლის იმ ბინაზე, რომელშიაც ამ ჟამად მოთავსებულია ბიურო. დანარჩენი კითხვები გადაიდო მომავალი კრებისთვის.

თ ხუხუნაიშვილი.

# პროვინცია

**ს. თეკლათი** (სენაკის მაზრა). ამა წლის 11 აგვისტოს მოხდა ადგილობრივ სამკითხველოს წევრთა საერთო კრება იოსებ წერეთლის თავმჯდომარეობით. პირველი საკითხი ეხებოდა ძველი ანგარიშების ჩაბარებას გამგეობისაგან, მეორე—მოხსენება ამა წლის პირველ აგვისტოს გამართულ საღამო წარმოდგენას, მესამე—როგორ მოეწყოს სამკითხველო, რომ მეტი ნაყოფი მოიტანოს და მეოთხე—ახალი გამგეობის არჩევნები.

გამგეობის ხაზინადარმა ბეგლარ კალანდარიშვილმა გააცნო საზოგადოებას წარსული წლის შემოსავალ-გასავალი. ეს კითხვა უკამათოდ გადაეცა ამავე დღის არჩეულ სარევიზიო კომისიის წევრებს. რადგან ძველ შემადგენლობაში სარევიზიო კომისია არ არსებობდა, ძველი ანგარიშების კანტროლი გადასცეს აწ არჩეულ სარევიზიო კომისიის წევრებს. ცირუ თევზაიასამ გააცნო საზოგადოებას, თუ რამდენი შემოსავალი მიიღეს 1 აგვისტოს გამართულ საღამო-წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი უჩვენა 2034 მან. 25 კ. საზოგადოებამ სამკითხველოს გამგეობას და საღამოს მომწყობ კომისიას მადლობა გადაუხადა წარმოდგენის გამართვისათვის. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ა. ჯოჯუა, ბ. გვარამია და ბ. წულეისკირი.

თავმჯდომარე იოსებ წერეთელი.
მდივანი ევქსენტი ჯოჯუა.

—

**ხალგ. ჯუმათი** (გურია). აქ არსებობს ქალთა კოოპერატივი „წარმატება", მაგრამ საუბედუროთ, კოოპერატივში უფრო ლოთობა და მისთანები ბევრია. გამგეობა არ აქცევს ყურადღებას ამ გარემოებას.

როგორც იქნა, ველირსეთ ებალაურის წიგნთსაცავ სამკითხველოს გაღებას. საგამომძიებლო კომისიამ უკვე გამოიტანა კრებაზე თავისი ნაძიები საქმე. მათი ძიებით ერთად ერთ ძველ გამგეს დასდებია გადასახადათ 155 მან. იგი დაპირდა გადახდას. კრებამ გულისწყრომა გამოუცხადა ძველ გამგეობას და აირჩია ახალი გამგეობა, შემდეგი პირებისაგან შემდგარი: ნ. აფხაზავა, ვ. აფხაზ ვა, ი. ტულუში. მახლობელი.

—

**ყარაიაზი.** პირველი ადგილი დღიურ წესრიგში პურის საკითხმა დაიჭირა და მთავრობამაც ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია, ყველა კუთხეში სასურსათო სამინისტროს რწმუნებულნი მუშაობენ პურის შესაძენად, ამ მხრივ ყარაიაზის რაიონი გამონაკლს შეადგენს, თუმცა აქ რამდენჯერმე მოვიდა სასურსათო სამინისტროს რწმუნებული, მაგრამ ერთი დღის შემდეგ უკან დაბრუნდა, სამაგიეროთ აქ მუშაობს მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებული, რომელსაც აქვს დავალებული მოაგროვოს პური და თივა იმ ადგილებიდან, რომლითაც სარგებლობდენ ყარაიაზის ველში მოსახლე რუსები. ადგილობრივ მოსახლე რუსების წასვლის შემდეგ ყველაფერი დარჩა ღვთისანაბარად და რომ იტყვიან ხოლმე „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო", სწორეთ ასე მოხდა, მთელის ჭირნახულის დათესილს მინდორს ადგილობრივი ადმინისტრაციის სისუსტის გამო დაეპატრონენ აქვე მოსახლე თათრობა და ყველაფერი მიისაკუთრეს. როდესაც ყოველივე ჭირნახული თითქმის მოგროვილი იყო თათრებისაგან და გადამალული სხვადასხვა ადგილას მიწათმოქმედების რწმუნებულს სწორეთ მაშინ მოუხდა მუშაობა და ამ მხრივ მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ, სიტყვით იყო თუ მოქმედებით ყველაფერს სძლია და ერთი მეოთხედი ნაწილი პურისა ძლივს მოაგროვა, რომლის შეძენაც უესხვერპლოთ არ გადარჩა. ეს ვაი ვაგლახით მოგროვილი პური გაიგზავნა გურიაში, ბორჯომში და სხვაგან.

პურის მოგროვების შემდეგ რწმუნებული თავის დამზადებას შეუდგა, სადგურ ყარაიაზის მიდამოებში მუშაობა მყუდროთ მიმდინარეობდა, მაგრამ რაკი მუშაობა გადვიტანეთ სად. ბეიუკ-კასისკენ (მე-16 ართში) ყაჩაღთა ბრბოებისგან არც მუშებს და არც მცველებს (მე 18 პოლკის სალდათები არიან) მოსვენება არა ჰქონდათ დღე და ღამ, მათმა თავხედურმა მოქმედებამ არა ერთხელ და ორჯელ ჩააგდო განსაცდელში მომუშავენი, რის შემდეგაც დაიტაცეს მომუშავე ცხენები და დასჭრეს სროლის დროს ცხენოსანთა აფიცერი. ასეთმა მოქმედებამ საქმის ნაყოფიერ მუშაობას, რასაკვირველია, ხელი შეუშალა და ამ დროსვე არ მოიპოვებოდა ისეთი ძალა, რომ ყაჩაღები საბოლოოდ აელაგმა ადმინისტრაციას. ჯავშნიან მატარებლის № 1 ის შემწეობით ყაჩაღთა ბრბო რამდენჯერმე იქნა განდევნილი. თავდაცემით არ გათავდა საქმე, ჯიბრით თუ განზრახ ღამღამობით უკიდებენ დაგროვილ თივას ცეცხლს და რომ მთელი თივა სულ არ გადაწვან მუდმივ ყარაულობს ცხენოსანთა ჯარის ერთი ნაწილი, მაგრამ უფრო ეშინიანთ ჯავშნიანი მატარებლისა, რომელსაც აქ ეძახიან—„შეიტან პოეზდს". თუმცა დიდ ენერგიას ხარჯავს კომისრის თანაშემწე, მაგრამ არ ძალუძთ მათ შიხლოელი ყაჩაღების განდევნა, რომელთაგან მოსვენება არ აქვთ ადგილობრივ მცხოვრებ თათრობასაც.

წელს მთავრობას განზრახული აქვს რამდენსაც შესძლებს პურისა და ჭირნახულის დათესვა. საჭიროა, ეს ცხოვრებაში ნაყოფიერად ჩატარდეს, მაგრამ ამ დროსვე საჭიროა ყოველივე ყაჩაღების ალაგმვა, ვინაიდან მუშაობის ხეირიან მსვლელობას ყოველთვის ყაჩაღებისგნით მოსვენება არ ექნება. არის ერთი გარემოება, რომელსაც არ შეიძლება ადამიანმა ყურადღება არ მიაპყროს—ყარაიაზში არის საცდელი მინდორი და იქვე გვერდზე გაშენებულია უზარმაზარი სასახლეები ევროპიულ გემოვნებაზე. ამ სასახლეში განცხრომას ეწევა „გარეული დივიზია, რომელმაც მთელი კარ-მიდამო სულ მთლად გააპარტახა და ზოგიერთ აფიცრებმა მთელი სასახლის მოწყობილობა, ძროხები, ცხენები, ჩასაჯდომები თავიანთ სახლებში დაგზავნეს, ნაწილი ამ დივიზიისა დღესაც ანიავებს ფასდაუდებელ მამულს და სასახლეს და მეფური ბედნიერებით ფეხი ფეხზე გადადებულნი აფიცრები ჯარის კაცებითურთ დანავარდობენ და ამ დროს კი ჩვენი ჯარი, რომელიც ნამდვილ სამსახურს ეწევა სად. ყარაიაზში, საქონლის მატარებლებში 35—40 გრადუს სიცხეში სულსა ლაფავენ და ავადმყოფდებიან.

რამდენადაც ვიცით სასოფლო კომისიამ ყველა კუთხეში გააცხოველა პარტიული მუშაობა, ამ მხრივ ისედაც ჩამორჩენილი თათრობა აქ უფრო ჩამორჩენილი არიან და ამისათვის ყოველი პროვოკატორი ადვილად იკიდებს ფეხს. ადგილობრივი თათრობა სრულ ნდობას უცხადებენ ჩვენს მთავრობას, მაგრამ ფართო მასა დღესაც გაუგებრობაშია, საჭიროა ასეთ მოვლენას სასოფლო კომისიამ ყურადღება მიაქციოს და გამოგზავნოს კარგი თათრული ენის მცოდნე პირი, რომელიც განუმარტავს დღევანდელ მომენტს და ამ დროსვე ერობის არჩევნებიც დაიწყობა, რადგანაც მთიდან ყველა ბარში ჩამოვიდა. ამ მხრივ „გუმეტმა" რომ მონაწილეობა მიიღოს და კარგი მცოდნე ამხანაგი გამოგზავნოს კარგ საქმეს გააკეთებს და ადგილობრივი დახმარებაც ადვილი მოსაწყობია სამუშაოთ.

აქ ზოგიერთ რუსებისაგან დატოვებულ სოფლებში მთავრობამ დაასახლა ჯავახელი ქართველობა და შეძლების დაგვარათ მათ დახმარებასაც უწევს. საერთოდ აქეთ ქართული გაზეთები ძალიან ნაკლებათ აქვთ გამოწერილი, ვისაც აქვს ორ კვირაში ერთხელაც არ მოსდით, დღეს ისეთი მომენტია, რომ ყველა ადევნებს თვალ-ყურს ცხოვრების მსვლელობას და აქ კი გაზეთი არ მოიპოვება, ადგილობრივი ქართულის მცოდნე პირები იმითა ხსნიან, რომ თუ დროზე გაზეთს ვერ წავიკითხავ, რისთვის გამოვიწეროთო, ისევ მატარებლით ვინმე ნაცნობი ჩამომიტანსო, მართლაც რომ ფოსტის საქმე აქ ძალიან არეულია. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რომ ყველა მსურველმა გაზეთი გამოიწეროს და დროით მიიღოს.

შ. მირიანაშვილი

# წერილები რედ. მიმართ

ჩემმა დაჭერამ, რომელიც მოხდა იგივე ჩემი ამხანაგების მხრით 31 ივლისს ამა წლისა საერთოდ მასსაში, როგორც ეს ბუნებრივია, გამოიწვია ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა. აქედან დაიბადა ჩემთვის სრულიად დაუმსახურებელი ბრალდებები, რაც ჩემს ჯარშემო საქმეს სრულიად არ შეეფერის, და სხვა ასეთები.

ვინც ცოტად თუ ბევრად ყურადღებას აქცევდა პრესაში ამტყდარ მოწინაამდეგეთა მხრით განგაშს და ვისაც წარმოდგენა ქონდა ამ წლის ზუგდიდის მაზრის ტრაგედიისა, ადვილათ მიხვდება, რომ მე გახდი მსხვერპლი საზიზღარ პროვოკაციისა და ჩემი მოწინაამდეგეთა გველური სისინი მოქმედებისა, რაც უკვე გაქარწყლდა და მე უკვე განთავისუფლდი. მაგრამ გამოძიება მაინც გრძელდება ჩემ შესახებ ჩემივე თხოვნით, რომ ფარდა მასისთვის ყველაფერი ნათელი იყოს და სააშკაროზე გამოტანილი.

ამ ტომ ჩემს შესახებ ასეთ უსაფუძვლო მითქმა-მოთქმას რომ სამუდამოთ ბოლო მოეღოს, მე მივმართე მთელს საზოგადოებას, თუ ვინმეს მოეპოვება ცოტათი მაინც ჩემ შესახებ საფუძვლიანი ბრალდება, გამოიტანოს სააშკაროზე და გადასცეს სადაც ჯერ არს.

სიმონ თოლორდავა

**ბ მ მირიანაშვილის ხაპასუხოდ.**

გაზეთ „ერთობის" № 211-ში იყო მოთავსებული წერილი სათაურით „რკინის გზაზე" მიხეილ მირიანაშვილისა, რომელიც ეხებოდა მატარებლის დაცვის აგენტების ქცევას. ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ბ. მირიანაშვილის, რომ ასეთი ცნობა გადმოგვცა, რითაც საშუალება გვეძლევა გამოვარკვიოთ შარუხიასი და ლეჟავას საქმე და დავსდოთ შესაფერი მსჯავრი. ვინაიდან მათი ასეთი ქცევით ჩირქი ეცხება ბევრს პატიოსან ამხანაგს. ბ. მირ—შვილს მგზავრების ნალაპარაკევიდან გამოურკვევია, რომ მატარებლის დამცველებს მიჩნეული აქვთ ორი ვაგონი, შიგ ნათესავ-ნაცნობებს უშვებენ და მასთან სპეკულ აციას ეწევიანო. ეს თქვენთვის ჭორი გადმოუციათ. კარგი იქნებოდა თქვენის თვალით გენახათ და დარწმუნებულიყავით, რამდენი ვაგონი უკავიათ მატარებლის მცველებს. არა ორი ვაგონი—არამედ ერთი ვაგონის მეოთხედი განყოფილება უკავიათ შვიდს მცველ გვარდიელს. და რამდენი „მრავალი" ნათესავი და ნაცნობი მოთავსდება შიგ, ეგ თქვენ გამოიანგარიშეთ. მე ამასაც გეტყვით: შესაძლებელია ამ ვიწრო განყოფილებაში მართლაც ორიოდე უცხო პირი იყვეს შეშვებული. თუ შეუშვეს ეს ორიოდე ადამიანი, ამისაც ალბათ რაიმე მიზეზია. ვინაიდან ხშირად სადგ. უფროსები მიმართავენ ხოლმე დამცველებს, მისცენ ალაგი ან თუ ავათმყოფი, ან და დაჭრილი ვინმე არის სადგურზე. თუმცა რომელიმე მცველს რამდენიმე გირვანქა სურსათი მოაქვს სახლში, მაგრამ ამას სპეკულიაციას ვერ დავარქმევთ, რადგანაც გზაში თუ შეხვდით იაფათ სურსათს და ცოტა რამე მოიტანე თავის მშიერ ოჯახში, რომელიც ვერ გამოუკვებიათ თავიანთი ჯამაგირით, ეს სპეკულიაცია არ არის არ ვიცი რითი ხელმძღვანელობდით მაშინ, როცა ცარცვას უწოდებდით ბარგის ფულის გადახდევინებას. ეს ცარცვა კი არ არის აქ დაცვა არის. რკინის გზის გვარდიელებმა ბევრნაირი ზომები მივიღეთ, რათა მოგვესპო საბარგო ბარგის შეტანა სამგზავრო ვაგონში, მაგრამ ვერც ერთი გზა ვერ გამოვნახეთ როგორც შეჰქონდათ ფარულათ ვაგონში, ისევე გამოჰქონდაა და შვიდი დამცველი გვარდიელი მატარებლებზე ვერაფერს ხდებოდა. აი აქ, როცა ვხედავდით დამცველი გვარდიელები, რომ რკინის გზა და მასთან ხაზინა დღე და დღე ზარალობდა, გადავწყვიტეთ რომელ ვაგონშიაც შეგვხვდებოდა საბარგო ბარგი, პატრონისთვის გადაგვეხდევინებინა ფული ვარაუდით და შესაფერი კვიტანცია კი სადგურზე მიგვეცა და თუ ვინმეს მეტი გადახდებოდა ის მეორეთ აღარ შეიტანდა ვაგონში, და შესაძლებელია ამითი ცოტაოდენი მაინც შემცირებულიყო საბარგო ბარგის გადაზიდვა სამგზავრო ვაგონებით. თუ ექვი გეპარებათ ეს ფული სად მიდის, შეგიძლიანთ შემოიაროთ ჩვენს შტაბში, საცა ნახავთ ათასობით გადახდევინებულ ფულის კვიტანციებს. და თუ თქვენ შარუხია ლეჟავას ქცევას უკანონოთ სცნობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუყველა დამცველი გვარდიელები ასეთი ქცევის იყვნენ, შესაძლებელია კიდევ ფარულათ რამდენიმე მოიძებნებოდეს ჩვენ შორის, მაგრამ ისინიც თავის დროზე შესაფერ მსჯავრს მიიღებენ.

რაც შეეხება თქვენს ნაჩვენებ გზას, ჩვენც ვეთანხმებით, რომ ეგ სწორეთ აგრე უნდა იყვეს, მაგრამ მაგის განკარგულება შეეხება რკინის გზის ადმინისტრაციას და არა დამცველ გვარდიელების შტაბს, რომ მათ მაგრეთ ჩაუჭირონ ხელი აღვირ წახსნილ კონდუქტორებს და სადგურის მილიციონერებს, რათა იცოდნენ მათ თავიანთი მოვალეობა.

ჩვენი დამცველი გვარდიელების ვალი კია მარტო გაცილება და გაჩხრეკა მატარებლის. მოდიან მატარებლის მისაღებათ მხოლოდ, მაშინ როცა მატარებელი უკვე გამზადებულია სადგურზე გასამგზავრებლათ.

ს. მცხეთელი.

# ცნობები

ჯ. კ. აილიბისტრო ბასას ძე ბესელია მსახურებდა 14 „ობოზის" ბათალიონში (ოსმალეთის ასპარეზზე) ეს მეორე წელი გადის, რაც მისი ამბავი არ ვიცით. ვთხოვთ ვინც იცის მისი ამბავი შეგვატყობინოს შემდეგი მისამართით: სამტრედია, დეპო, მემანქანის თანაშემწეს ა. დუდუჩავას.

# განცხადებანი


ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
ღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა ზ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინაწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე ხაჭვარელის ძე ცხოველიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9-53.

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

**ექიმი ზ. ც. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; მფოცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელ. № 5—77

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდილნი ქ. № 14.

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა**) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, სქესობრივი და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**მედ. ქალი რ. ბ. შიოშვილ-სარაჯიშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და ბავშვებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ძ. ხ ო ნ ი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილ 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.
**სახალხო სახლი.**
ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს, 1918 წელს წარმოდგენილი იქნება

| 1. | 2. |
|---|---|
| **ლ ა ქ ი ა** | **დ ა ვ ა** |
| კომ. 3 მოქ ნაროდინისა თარგ. მ. ხახანაშვილისა. | ერისთავისა, წარმოდგენილ იქნება მეოთხე მოქმედება. |

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: არჯევანიძე, გოგოლაშვილი, ნინონი, იანქოშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა; ბბ. გოცირიძე, მეტრეველი, მინდიაშვილი, მამაჯანოვი, თავდგირიძე, სალაყაია, ნანიძე, ჰანკვატაძე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—60 კ. მდე.
შემდეგი წარმოდგენა 15 ოქტომბერს. რეჟისორი კ. შათირიშვილი.
(2—1) რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

**სახელმწიფო თეატრი.** ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.
**სამშაბათს 8 ოქტომბერს**
**ცარსკაია ნევესტა**
ოპერა 4 მოქმედებიანი. მუსიკა რიმსკი-კორსკავისა
**მონაწილეობენ:** ქ. ქ. ვ. ლევიცკისა, იანსა მოროზოვისა, ბ-ნი ბერეზინი, მოლჩანოვი, პალიევი, ნიკოლსკი.
დირიჟორი **ჩერეპნინი.** დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.
**ანონსი:** ოთხშაბათს, 9 ოქტომბერს „რიგოლეტო", ხუთშაბათს 10 ოქტომბ. „დუბროვსკი", პარასკევს 11 ოქტომბ. „პიკოვაია დამა".

**სახალხო განათლების სამინისტრო.**
ამით აცხადებს თფილისის ვაჟთა და ქალთა კერძო საშუალო სასწავლებელთა ქართველ მოწაფეების და მათი მშობლების საყურადღებოდ, რომ ასეთ მოწაფეებს ნება ეძლევათ **უ ე ბ ზ ა მ ე ნ ო დ** შევიდენ მთავრობის ქართულ სასწავლებელთა სათანადო კლასებში.

**ფოთის ქალაქის გამგეობა**
აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს 1918 წ. დილის 12 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია
**ვაჭრობა,**
რომლითაც იჯარით გაიცემა ქალაქის ტყეში მდ. რიონის ნაპირზე 500 კუბ. საჟენი შეშის დამზადება და ფოთში ჩამოტანა. შეშა იქნება სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ჯიშის ხისა. ვაჭრობის პირობების განხილვა შეიძლება ყოველდღე გამგეობის კანცელიარიაში. (3—1)

**მშობელთა კომიტეტი**
3 მე უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისა, რომელიც არსებობს ავლაბარში აცხადებს, რომ მიღება მოწაფეებისა პირველ და მეორე (ესე იგი მეხუთე და მეექვსე) სრულ უფლებიან სახალხო გიმნაზიისა გრძელდება უგამოცდოთ, პირველ კლასში მიიღებიან ის პირები, რომელთაც აქვთ დამთავრებული კურსი უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, და სხვა პირები გამოცდით. თხოვნების მიღება ყოველ დღე 9-ს. 1 სათამდი. ავლაბარი კამგეროვის ქუჩა № 17.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**მომარაგების კომიტეტი**
ამით აუწყებს სოფლის კოოპერატივებს, რომ მას აქვს გასაყიდად გადადებული
100,000 წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმიდან გაკეთებული.
**წყვილი ღირს ხუთ თუმნად (50 მან.)**
მომარაგების კომიტეტის (კომიტეტ სნაბჟენია) ახალი მისამართი: შტაბის ქუჩა, № 2. (2—2)

**ქალთა მეექვსე გიმნაზიის ქართულ კლასებში**
(საანბანოდან დაწყებული მეოთხე კლასამდე) მოწაფეთა მიღება გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე. გახსნილია აგრეთვე **სომხური** კლასებიც საანბანოდან დაწყებული პირველ კლასამდე. (2—2)

**თფ. ქალაქის გამგეობა**
აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში: ქართულში, სომხურში, თათრულში (მუსულ.) და ოსურში საჭიროა **ხატვის მასწავლებლები** (ქალები თუ კაცები). იმ პირთ, ვისაც ჰსურს ხსენებულ თანამდებობათა მიღება, უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ხატვაში და საშობლო ენა უნდა იცოდნენ. თხოვნები საჭირო დოკუმენტების კოპიებით მიიღება თფ. ქალაქის გამგეობასთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილებაში 20 ოქტომბრემდე. (2—2)

**თფილისის საოსტატო ინსტიტუტში**
და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს (ქართულ ენაზე). ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, საქარ. ისტორია). 2. ბუნების მეტყველება და მათემატიკა.
**ცნობად:** 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტში პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილი თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი-მთავრის ქუჩა № 91. (6—3)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზაევის შესახვევი, № 1.